ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №48 (1558) 24–28 მაისი, 1997 წელი

## წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

დილის ექვს საათზე გამაღვიძა გუმბარიძის მორიგმა ზარმა — უბედურება დაგვემართა...

5

## 26 მაისი — თავისუფლების დღე

**სიმონ ბერეჟიანი**

### მგოსანი

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ეოველ
ღამით,
როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ვრწევავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით,
ბალღამით,
რომ ჩავუნერგო სამინელი შურისძიება;
რომ ეოველივე ჩემი სიტევა მტერს მოხვდეს
ტევიად,
რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში
ეუმბარად;

და თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატევია,
არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიცინი მარად!
რას ვაქნევ სიტევას ჭაეროვანს აწონილს მისხლით;
როს გარს მარტეია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დავსწურე ნოეიერი ქართული სისხლი,
კალმად მიჭერია ხელში ბასრი ხმალი ქართული!
და შხამით მორწეულ მაისის ვარდს ვდარაჯობ,
ვუვლი;
შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!
თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე, .
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობსთ ჩემი ბუკი-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!
ვარ ჩემი ქვეენის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწეინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამეარო!

## აქა ამბავი „თეთრი მანდილის“ დედათა აფხაზეთში წასვლა-მოსვლისა...

2

## არ ენდოთ ჟანდარმელ ჟადოქარ ლამიას!

3

## შეიძინეთ რკინის ქალამნები

4

ვფიქრობ, განათლებულ მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ ავტორის აზრი ყოველთვის შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქტორისას. ამას იმ პირთა გასაგონად ვამბობ, რომლებმაც, მიშველაძის დღიურების გამო განაწყენებულებმა, შეიძლება გაზეთის მისამართითაც აღავლინონ „ლოცვა-შეკურთხება“.

6

*რედაქტორისაგან: ამ სამიოდე წლის წინ, 1994 წლის მაისში ნიუ-იორკიდან „საქართველოს“ რედაქციაში წერილი მივიღე, მისი ავტორი გახლდათ ამერიკაში სასწავლებლად წასული ახალგაზრდა კაცი, დღეს ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.*

*ეს წერილი ახლახან ჩემს არქივში ვიპოვე, სამწუხაროდ, ვეღარსად მოვძებნე ლექსი, რომელზედაც წერილშია საუბარი. გუშინ ბოლო ზარმა ჩამორეკა მე-11 კლასელთათვის, მიხეილის ლირიკული ჩანახატიც ბოლო ზარს ეძღვნება. სწორედ ამიტომ, 3 წლის შემდეგ ხელახლა ნაპოვნს, ვაქვეყნებ მას.*

*ვუსურვებ ჩვენს მეთერთმეტეკლასელ გოგო-ბიჭებს მისაბაძად და მაგალითად ისეთი პიროვნებები მიეჩნიოთ მათზე უფროსი, თუმცა, ახალგაზრდა თაობიდან, როგორიც მიხეილ სააკაშვილია.*

## მიხეილ სააკაშვილი

# ბოლო ზარი



ზუსტად ათი წლის წინ, 1984 წლის მაისის მზიან დღეს ჩვენი სკოლა ემზადებოდა ბოლო ზარის ზეიმისათვის. კალმისტრებით ვაწერდით კეთილ სურვილებს ერთმანეთის პერანგებს, ვსაუბრობდით მომავლის გეგმებზე. ერთი სიტყვით ცოტა ნაღვლიანი, მაგრამ მაინც საზეიმო განწყობა სუფევდა, ისეთი, როგორც, ალბათ; ყველას გამოუცდია ცხოვრებაში ამ განსაკუთრებულ დღეს. წინ იყო გამოსაშვები გამოცდები, პირველი – ქართულ ლიტერატურაში.

მაშინ არავინ უწყოდა, რომ ცხოვრება სულ მალე გაცილებით უფრო სერიოზულ გამოცდებს გვიმზადებდა, რომ ის საქართველო, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ წიგნების ფურცლებზე არსებობდა, ჩვენს თვალწინ გაცოცხლდებოდა და სულ რამდენიმე წელიწადში თითქოს არსებობას მოწყურებული თავის საუკუნოვან ისტორიულ ციკლს, აღორძინებიდან და ერთიანობიდან დაცემამდე, დამცირებულ და დანაწევრიანებულ მდგომარეობამდე.

სად არის დღეს ჩემი თაობა?

ჩვენს შორის საუკეთესონი საუკუნოდ იქ დარჩნენ, სადაც ჩვენ კიდევ გვმართებს მათი საფლავების მონახულება და მათი საქმის ბოლომდე მიყვანა.

ბევრს კიდევ შერჩენია ცხოვრების ხალისი, არ უშინდება ცხოვრების სიძნელეებს, არ ჰკარგავს მომავლის იმედს.

ნაწილსაც ხელი მოეცარა და გზა გაუმრუდდა. ბევრიც აქ მხვდება, ამერიკაში, ხშირად შემთხვევით, ქუჩაში. მათი უმრავლესობა კმაყოფილია იმ უმცირესი ადგილითაც კი, რომელიც აქ მოუპოვებია, თუმცა კარგად უწყის, რომ მხოლოდ მის შვილებს ან შვილიშვილებს უნდა ჰქონდეს რაიმეს მიღწევის იმედი ამ საზოგადოებაში. იცის ეს, მაგრამ მაინც აქ ურჩევნია ყოფნა, რადგან უკანდასაბრუნებელ გზას მოჭრილად სთვლის. მეც ამ უკანასკნელ ხანს ერთი და იგივე კოშმარული სიზმარი შემომეჩვია. თითქოს დიდი ხნის არყოფნის შემდეგ საქართველოში ვბრუნდები. მანქანით მოვუყვები ზღვის ნაპირს და მიხარია, რომ სულ მცირე ხანში გადავკვეთ სასაზღვრო ზოლს და სამშობლოში აღმოვჩნდები. იქიდან კი სულ რამდენიმე საათი რჩება თბილისამდე – სახლის კარამდე. შემდეგ ჩნდება სასაზღვრო ბოძი, რომლის იქით გასვლა აკრძალულია, რადგან წარწერა მაუწყებს, რომ ამ ადგილის აღარ ჰქვია საქართველო...

და მაინც მე დავბრუნდები, ჩვენ ყველანი უნდა დავბრუნდეთ და რაც მთავარია, ჩვენ ყველაფერი უნდა დავიბრუნოთ.

ათი წლის წინ ბოლო ზარის ზეიმისათვის სახელდახელოდ ლექსი დავწერე. ამ ლექსის გამოქვეყნება არასოდეს მიფიქრია, რადგან სამართლიანად არ მიმაჩნდა იგი ლიტერატურის თუნდაც მეტ-ნაკლებად ღირებულ ნიმუშად. ამას წინათ შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემს პატარა არქივში და სულ სხვა თვალით დავინახე იგი, ნათლად მივხვდი, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, არც დროს მოუტანია და არც ცალკეული ლიდერების მცდელობას, არამედ ეს ყველაფერი თითოეულ ჩვენგანში იყო მომწიფებული. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისთვისაც კი ვერ ვბედავდით ამ განწყობის გაზიარებას და მხოლოდ ლექსად ვცდილობდით გვეთქვა.

თუ გასულ ათ წელიწადში ყველა თავზე დატეხილ ქარტეხილებში შემოვინახეთ ამ ლექსში მოცემული განწყობის ნაწილი მაინც, მაშინ ჯერ კიდევ არსებობს იმედი, რომ ის თაობა, რომელიც ახლა ეზიარება ბოლო ზარის ზეიმს, ათ წელიწადში ჩვენთან ერთად იცხოვრებს ჩვენი ოცნების საქართველოში.

# აქა ამბავი „თეთრი მანდილის“ დედათა აფხაზეთში წასვლა-მოსვლისა...

## ინტერვიუ გიგა გელაშვილის დედასთან

***– თეთრი მანდილის“ სოხუმში მოგზაურობა საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ვინაიდან უშუალო მონაწილე ყოფილხართ, თქვენგან მართლაც საინტერესო იქნება ვიცოდეთ, რა ხდებოდა კულუარებში. ჩვენ ტელევიზიით მატარებელს გარედან ვუყურებდით. რა ხდებოდა შიგნით?***

– იმ მატარებელში ორი ან სამი ქალი შეიძლება იყო, ვისი შვილიც იბრძოდა. რატომ წამოვიდნენ ეს ქალები? ახლა ყველა თანამდებობაზე ზის. ჩემი შვილი კი წინა ხაზზე იბრძოდა. ქალებმა იციან, გურანდა გაბუნიამ იცის, ქეთი დოლიძემ...

***– თანამდებობაზე სხედან ის ქალები, ვინც იმ მატარებელში იყვნენ?***

– რა თქმა უნდა, კარიერისთვის წამოვიდნენ, აბა არავისი შვილი არ იბრძოდა იქ და...

თქვენ გგონიათ, მათ საქართველოს ჯავრი ჰქონდათ? საქართველოს ჯავრი ჰქონდა გიგას, რომელიც შევარდნაძის გვერდში იბრძოდა და თვითონ ბ-ნმა შევარდნაძემ თქვა: დღეში ცხრაჯერ სიკვდილზე ვაგზავნიდიო, არ თქვა? ხომ თქვა. და ცოცხალი ბრუნდებოდა. შევარდნაძე რომ გაგზავნის, ვიღაცა ათმეთაური კი არა, ე.ი. რა დონის სახიფათო საქმეზე მიდიოდა. მე მესამე ეშელონის მეთაურად დამნიშნეს. მაშინვე, მივედი თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ მე მეგობრობა არ მქონდა იმ ქალებთან, ვუთხარი...

***– ბოდიში, ეს როგორ გავიგოთ, მესამე ეშელონის მეთაური? ეშელონებად იყვნენ დაყოფილი ქალები?***

– აბა როგორ, ეშელონებად იყო...

***– რამდენი ეშელონი იყო, თუ გახსოვთ?***

– სამი ეშელონი იყო, მესამეში ვიყავი მე და სანამ მე მივედი, ორი ეშელონის მეთაურები უკვე არჩეული ჰყავდათ.

***– სხვა მეთაურები ვინ იყვნენ?***

– ქეთი დოლიძე, გურანდა გაბუნია და მესამეში მე.

***– საერთო აქციის ხელმძღვანელი ვინ იყო?***

– ორივენი იყვნენ, ქეთი დოლიძე და გურანდა გაბუნია მე, რომ მივედი, ქეთის ვუთხარი: ქ-ნო ქეთი, ჩემი შვილი ეხლა იქ არის-მეთქი, სოხუმში და გორგასლის ორდენოსანი და გენერალია-მეთქი. ოო, რომ გაიგო გენერლის დედაა... მე ვუთხარი – რაიმე ისეთი დამავალეთ-მეთქი, მე ძალიან მოქმედი ქალი ვარ, ჩემი შვილი ტყუილად კი არ არის გენერალი, მე ჩემ საქმეში გენერალი ვარ, დამავალეთ ძალიან ძლიერი საქმე და მე ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი. ახლაო, ორი ეშელონი დავაკომპლექტეთო და მესამე ეშელონის მეთაური არა გვყავსო და თქვენ იყავითო, – ქეთიმ მითხრა. ეხლა მეც ვკითხე – რა გავაკეთო, სახელად ხომ არ შეიძლება მარტო, რომ მეთაური მერქვას? ე.ი. როდის უნდა დაწვნენ, რა უნდა ჭამონ, როდის უნდა ჩავიდნენ, როდის უნდა ამოვიდნენ. ვიღაცას გული წაუვა, რა უნდა გავაკეთო, ვიღაცა ისტერიკაში ჩავარდა და ა.შ. ასეთი საკითხები უნდა მომეწესრიგებინა. თქვეს, მატარებელში ნაღმია ჩადებული და გზაში აფეთქდებითო. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, თორმეტი ვაგონი ქალი რას იზამდა? (იცინის)... გამოვედით რამოდენიმე ქალი და ვეუბნებით – გაჩერდით, აბა, რომ მოვდიოდით, ხალხო, ან აფეთქდებით ან გადაფეთქდებით, აბა როგორ გინდათ, ანდა ასეთი მშიშრები თუ იყავით, რას მოდიოდით-მეთქი.

***– გიგა თქვენ გგავთ თუ მამამისს?***

– მე მგავს, მე.

***– ზუგდიდამდე მშვიდობიანად იმგზავრეთ ხომ; თუ იყო რაიმე ექსცესი?..***

– არა, რომელ ზუგდიდამდე, რას ამბობთ თქვენ, ჯერ გორში მთელი ტირილები, ეგრე წავედით მერე გორის ციხესთან, მთელი ხალხი ტიროდა, ხალხი ასე გვაცილებდა. იმ ხალხს, რომლებიც ჩემთან ერთად წამოვიდნენ, ანდერძები ჰქონდათ დატოვებული. გვითხრეს, რომ სამტრედიაში დაგხვდებათ კიტოვანი და სამტრედიიდან დაცვა გაგყვებათო. ე.ი. სამტრედიამდე მშვიდობიანად ვიმგზავრებდით და მის მერე გაგვყვებოდა კიტოვანის დაცვა. ჩამოვიდა კიტოვანი სამტრედიაში და გვითხრა:

– ქალები არ ვიცი მე ახლა, დასხედით მატარებელზე, თქვენი „დუხი“ არ ენახო აქაო და თბილისში გაემგზავრეთო. ვინ გელოდებოდათ, რომ მოდიოდითო. ჩვენ ზუგდიდში არ შევსულვართ, ჩვენ წავედით სამტრედიიდან გალში. გალში ოთხი ათასი ქალი ზის ლიანდაგზეო, ჰოდა, როგორც კი მატარებლით შეხვალთ, უნდა აგაფეთქონო. ატყდა პანიკა. ქალებო, მოხსნეს გალისკენ მიმავალი ვაგონი და თბილისისკენ მიმავალი ჩააბესო, – პირველი ვაგონის ხალხი იძახის. გადმოვდექი ახლა მე იქიდან კიბეებზე და ვუთხარი – თქვენ ხომ ხართ ოთხი ათასი, იქ არის ოთხი კაცი, მიდით, ის ოთხი კაცი გააგდეთ და გალისკენ მიმავალი ჩააბით-თქო. ჰოდა, ასეთი ამბებით წავედით. სადღაც გაცილებული ვართ სამტრედიას და გაჩერდა მატარებელი. ნახევარი ქალები ჩავიდნენ, შეეშინდათ, ზოგმა ბრმანაწლავი ამტკივდაო, ზოგმა კუჭის წყლული მაქვსო, აქ საჭმელები არ არის და ცუდად გავხდიო და ახლა გვარსა და სახელს არ დავასახელებ, ერთი ნამეტანი ლიდერიც ჩამოხტა იქიდან... რა ვქნა მეშინიაო, იძახდა.

ახლა გალში რა მოხდა. უიმე, გალში რომ სურათი ვნახე, ბ-ნო ნოდარ, მაგაზე ნოველის დაწერა შეიძლება. ჩვენ იქ ოჯახი ვნახეთ?.. იმ ღამეს იყო, სანთლებით დაგვხვდნენ ეს მეგრელები, რა აფეთქება, რის აფეთქება, პირიქით, ორი დღე და ღამე ლიანდაგებზე ვსხედვართ თქვენს მოლოდინშიო. მერე იქ წავიდა მეგრული სიმღერები, მთელი ღამე საჭმელები მოჰქონდათ, ვტიროდით, ვეხვეოდით ერთმანეთს, ნუ, ეს იყო რაღაც სასწაული და მთელი ღამე გვიყარაულეს. არ წავიდნენ ეს ქალები. მერე კაცებიც მოვიდნენ. მთელი ღამე მატარებელს უყარაულეს, რომ რაღაცა პროვოკაცია არ მომხდარიყო. უკვე ლაპარაკი იყო, რომ ზვიადი ზუგდიდში ჩამოდისო და ქობალიას მხრიდან არ მომხდარიყო ჩვენზე რაღაცა...

დილას საუზმეზე დაგვპატიჟეს, იქ მოვიდა ერთი ქალბატონი ქალთა საბჭოდან (იქაცაა ჩვენი ქალთა საბჭოები) და გვითხრა – წამობრძანდით მიცვალებულის ოჯახშიო. 18 წლის ბიჭი იწვა ტახტზე. ორმოცი წლის მამა დაღუპულა ომში და მერე 18 წლის ბიჭი წასულა სისხლის ასაღებად, ერთადერთი ის შვილი ჰყოლიათ, ესეც იქ დაღუპულა წევს ბიჭი, უდევს გვერდით ავტომატი და აქეთ მხარზე უწევს ცოცხალი დედა. ცოცხალი დედა იწვა მკვდარი შვილის გვერდში და ისე ტიროდა. კუბო არ იყო, ჯერ ახალი გარდაცვლილი იყო და ტახტზე ეწვათ. წარმოიდგინეთ, ცოცხალია თუ არა ჩემი შვილი ამ დროს არ ვიცი, ჩვენ მატარებლით არ გვიშვებენ, ისეთი ხელჩართული ომებიაო, რა ქალები, რის ქალებიო, მანდილი არ უშველის მაგასო, – კიტოვანი გვეუბნება. ამის შემდეგ ჩვენ მიტინგი ჩავატარეთ, გამოვედით სიტყვებით. მერე წამოვედით ოჩამჩირეში. ოჩამჩირეში უკვე მოვიდნენ ნატყვიარი, ნაწამები ადამიანები. ვიღაცას რომ დედა მოუკლეს, ვიღაცას რომ ქალიშვილი გაუუპატიურეს, ვიღაცას რომ ენა ამოაგლიჯეს. ეს ხალხი ჩვენ დაგვხვდა ოჩამჩირეში უკვე ნამდვილი ომის პერიოდში. ჩვენ ვნახეთ იქ დაჭრილები ჰოსპიტალში, მე მახსოვს იქ ახალგაზრდა გოგოები დარჩნენ ბიჭების მოსავლელად, აღარ წამოვიდნენ. ჰოდა, რაც სურსათი მოჰქონდათ, მთელი გზის მანძილზე, რაც მოვდიოდით, ყველაფერი დავტოვეთ ოჩამჩირეში. იქ გამოვიდა არაჩვეულებრივი კაცი, მე ესეთი კაცი არ მინახავს. ავიდა მატარებლის კიბეზე და – ქალებო! მომისმინეთ, ჩემო დებო, ჩემო შვილებო, თქვენ შემოგევლეთ, აგერ-აგერ დაბომბვა დაიწყება და ეს მატარებელი ჩამწკრივებული რომაა, ჩანს, გეხვეწებით, გემუდარებით, წადით. ხელი გვეშლებაო. კუდამოძუებულები წამოვედით, წამოვედით და მერე გალში უკვე დაგვხვდა გამსახურდიას ხალხი, მთელი მატარებელი უნდა აეყვანათ და გადაგვარჩინა ქობალიამ, ლოთი ქობალიამ. ლოთიმ დაგვიცვა.

***– ლოთი მოვიდა?..***

– კი არ მოვიდა, მას ელაპარაკებოდა კიტოვანი.

ბოლოს ისევ კიტოვანმა იზრუნა. მაგის ცოდვას ვერ ვიტყვი, იგი ნამდვილად კაცურად მოიქცა.

ჩამოვედით თბილისში, მთელი თბილისი გველოდებოდა, თითქოს გამარჯვებულები ჩამოვსულიყავით. ჩვენ რამდენიმე ქალი უკანა კარებიდან გავიპარეთ იმიტომ, რომ მე რა მიზნითაც წავედი ის არ შევასრულე, მე იქ იმიტომ კი არ წავედი, მიცვალებულები მენახა და კიტოვანი, მე იქ წავედი, იქ საგუშაგოზე უნდა ჩავსულიყავი, მანდილი უნდა ჩამეგდო და რომ ვერ ჩავაგდე, ჩავთვალე, რომ მე ჩემი მისია არ შევასრულე, ჰოდა ამიტომაც არ გამოვჩნდი. მე არც ტელევიზიაში გამოვჩენილვარ, უკანა მხრიდან წავედით და გავიპარეთ.

***– მატარებელში ამდენ ქალს კურიოზებიც გადაგხდებოდათ.***

– პირველი დღიდან ბოლომდე და, საერთოდ, მთელი ჩვენი მოგზაურობა იყო კურიოზი, ისეთი უცნაური ქალები იყვნენ, ზოგი გამოდიოდა, ლექსების კითხვას დაიწყებდა, ზოგს გული მისდიოდა, ვიღაცას ენა უვარდებოდა და მაგაზე მერე სხვებს ჯავრი მოსდიოდათ. ნუ, მოკლედ, უამრავი კურიოზები იყო. ის კურიოზიც კი იყო, რომ ხელმძღვანელი უნდა გადავაყენოთო და სხვა ხელმძღვანელი უნდა ავირჩიოთო (იცინის). მე ვუთხარი, ეხლა გაჩერდით-მეთქი, მაგისთვისა ვართ განა წამოსულები? ძალიან ბევრი არაჩვეულებრივი ლექსი იქნა წაკითხული. აი, ახლაც ჟრუანტელი მივლის. იქ იყვნენ არაჩვეულებრივი ქალბატონები. იქ იყო არაჩვეულებრივი ქალბატონი ზინაიდა კვერენჩხილაძე აგრეთვე მედიკო მეზვრიშვილი. ჰო, ეს მეზვრიშვილი ძალიან აქტიურობდა. იქ იყვნენ პოეტები. კურიოზები არ არის? ქალი მოდის და მეუბნება, რომ იცი რაო? ახლა რომ მაგონდება, სწორი არ დავწერე ისაო, ანდერძი, ე.ი. მეო, ახლა ვხვდებიო, ტახტი იმისთვის კი არა, სხვისთვის უნდა მიმეცაო, შემეშალა და ეხლა რაღა ვქნაო. რა სისულელეებს ლაპარაკობთ ხალხო, ეს რა გემართებათ-მეთქი, რა ტახტი, რის ტახტი. მეო, იმედი არა მქონდაო, რომ აქედან ცოცხალი გავიდოდი და ახლა იმას გული დაწყდებაო, რატომ არ დაუტოვეო. ამაზე მეტი კურიოზი რა გინდათ.

დასასრული ოთხმაგათის ნომერში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №44,45,46,47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 27 მაისს პრეზიდენტი ანგარიშით წარსდგება

საქართველოს პარლამენტის პრეს-სამსახურის ცნობით, 27 მაისს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე 1996 წლის ანგარიშით წარსდგება. ანგარიში მოიცავს საქართველოს საგარეო და საშინაო-პოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ვალდებულია ყოველ წელს წარსდგეს მსგავსი ანგარიშით. ოპოზიციამ არაერთგზის განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძე აყოვნებს გასული წლის ანგარიშის წარდგენას. (ბი ჯი აი)

## საქართველოს კომუნისტების აზრით...

საქართველოს მემარცხენე ცენტრისტული ბლოკის, კერძოდ, რჩეულიშვილიონიანის ალიანსის ამოცანებს არაფერი საერთო არა აქვს სოციალისტურ იდეებთან და მშრომელთა ინტერესებთან, – ნათქვამია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, მშრომელთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის, სრულიად საქართველოს ხალხთა მეგობრობის ასოციაციის მიერ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში. მემარცხენე ცენტრისტები მოსახლეობის დეზორიენტირებას ეწევიან. ამან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში საზოგადოება მცდარ პოლიტიკურ არჩევანს გააკეთებს, – ნათქვამია განცხადებაში. (ბი ჯი აი)

## ვინ რაში ეძებს ხსნას

ქართველი ერისა და სახელმწიფოებრიობის ხსნა საბჭოთა კავშირის ეტაპობრივ აღდგენაშია, რომლის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთისა და ბელორუსიის კავშირი, – ნათქვამია დოკუმენტის პროექტში, რომელიც საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, მშრომელთა ცენტრალური საბჭოს, კომკავშირის, სრულიად საქართველოს ხალხთა მეგობრობის ასოციაციის, სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოების ერთობლივ სხდომაზე მიიღეს, – იტყობინება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პრეს-სამსახური.

სხდომაზე მიიღეს მოძრაობა „სრულიად საქართველოს სახალხო კავშირის“ დეკლარაცია. ეს მოძრაობა, როგორც მისი წარმომადგენლები აცხადებენ, აერთიანებს საქართველოს ყველა პროგრესულ-პატრიოტულ ძალას, საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის ალსადგენად.

## სამტრედიის ხის გადამამუშავებელი კომბინატი ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერებულია

სამტრედიის ხის გადამამუშავებელი კომბინატი ნედლეულის უქონლობის გამო მეოთხე წელია გაჩერებულია. ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტყეები მასიურად იჩეხება და რესპუბლიკის გარეთ გადის. სახელმწიფო, რომელსაც ერთი კუბომეტრი მოჭრილი ხე 65 ლარი უჯდება, მას 12 ლარად ჰყიდის. მაშინ, როდესაც ბირჟაზე იგი 100 ლარი ღირს.

სამეგრელოს მხარის ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია ნორმატიული აქტების მიღება, რომელიც აკრძალავს ტყის არაკანონიერ გაჩეხვას და მის საზღვარგარეთ გატანას. მარტვილის რაიონის ადმინისტრაცია მზად არის სამტრედიის ხის გადამუშავების კომბინატს მიაწოდოს ნედლეული წინასწარი გადახდის გარეშე, რათა კომბინატმა შესძლოს ამოქმედება. (იფრინდა)

# არ ენდოთ ჯანდარელ ჯადოქარ ლამიას!



ხუთშაბათს „დილის გაზეთში“ კვლავ გაეწია პროპაგანდა ჯანდარელ „ბავშვების-მჩენელ“ ლამიას, რამაც გვაიძულა ერთხელ კიდევ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ სენსაციურ თემაზე.

ადამიანებს სასურველი ხშირად რეალობად წარმოუდგებათ ხოლმე, რაც ხშირად მათივე კრახს იწვევს.

ამ გარემოების გათვალისწინებით გაზეთმა „საქართველომ“ ჯერ კიდევ იმ დროში, როცა მეანაბრენი სასურველს რეალურად წარმოიდგენდნენ, ანუ 100 დოლარში 20, 40 და ზოგჯერ 50 დოლარის მოგება სურდათ თვეში კომერციული ბანკებიდან, ატეხა განგაში. მეანაბრენი გავაფრთხილეთ, სპეციალისტების ვარაუდზე დაყრდნობით, რომ საბანკო ბუმი მალე მათი გაკოტრებითა და გაუბედურებით დასრულდებოდა. ვინც ყური გვიგდო, გადარჩა, ვინც არა, დღემდე დგას „აჩი ბაჩების“ კარებთან და გვიანლა იკვნეტს თითებს.

გაზეთის მოვალეობა არ არის მხოლოდ ფაქტის დაფიქსირება, გაზეთი კეთილი მრჩეველიც უნდა იყოს თავის თანამედროვეთათვის.

რამდენიმე თვის წინ გაზეთ „საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ მამა არჩილის (მინდიაშვილის) ინტერვიუ, რომელშიც იგი უშვილო დედებს აფრთხილებდა და მოუწოდებდა, არ აჰყოლოდნენ ცთუნებას და თავი შორს დაეჭირათ ჯადოქრისგან. მძიმე იყო ჩვენთვის ამ ინტერვიუს გამოქვეყნება. ერთის მხრივ, დიდ დარტყმას ვაყენებდით ლამიასაგან რწმენამიცემულ დედებს, მაგრამ მეორეს მხრივ, ათასობით იმ ქალბატონის გადარჩენა გვსურდა, რომელნიც მომავალში აპირებდნენ ლამიას წყალობით შვილის გაჩენას...

იყო უამრავი ზარი, შემოჭრა, ლანძღვაგინება ლამიას პაციენტთაგან.

გავიდა დრო. ამას წინათ რედაქციაში ორი ქალბატონი გვეწვია, რომელნიც 10 თვე „ფეხმძიმედ“ იყვნენ ლამიას წყალობით (?) და ბოლოს ხანგრძლივი მტანჯველი მოლოდინის შემდეგ მათმა იმედმა ჩაილურის წყალი დალია. მათი სხეული საწყის მდგომარეობას თავისთავად დაუბრუნდა (წარმოიდგინეთ მათი იმედგაცრუებული ყოფა).

ეს რომ არ გაუწყოთ, ჩვენის მხრიდან დანაშაული იქნება. ვინ იცის, კიდევ რამდენ დედას გაუწევდა გული ჯანდარელი ლამიასაკენ დანდობილად ფაქტების მხოლოდ დამაფიქსირებელი პრესის გადამკიდეს...

ადამიანებო, გაიგეთ, უპირველესი უბედურება სალი გონების უარყოფაშია, დანარჩენს ყველაფერს ეშველება.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

# შეგიძლიათ ივაჭროთ „უფულოდ“

## ანუ მიმოქცევაში გადის პირველი ქართული პლასტიკური ბარათები

22 მაისი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს საბანკო ცხოვრებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის წინასაიუბილეო დღეებში მიმოქცევაში გავიდა პირველი ქართული პლასტიკური ბარათები „ჯორჯიან კარდი“ – უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და საბანკო კრედიტის მიღების საშუალება.

პირველი ქართული პლასტიკური ბარათები „საქართველოს ბანკისა“ და საფრანგეთის ფირმა “იმედის“ ერთობლივი შრომის ნაყოფია.

„ჯორჯიან კარდმა“, პირველად საქართველოში, გამოუშვა და მოემსახურება პლასტიკურ ბარათებს. სხვათა შორის, საფრანგეთში ყოფნის დროს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გადასცეს პირველი ქართული პლასტიკური ბარათი.

პლასტიკური ბარათები, ანუ ელექტრონული ფული, როგორც მას უწოდებენ ხოლმე, მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში შემოვიდა მიმოქცევაში და ცივილიზებული მსოფლიოს განუყრელ ატრიბუტად იქცა. მსოფლიოში პლასტიკური ბარათებით 2 მილიარდი ადამიანი სარგებლობს.

22 მაისს – პლასტიკური ბარათების პრეზენტაციის დღეს – ისინი გადაეცა მათ მფლობელებს, რომელთა რიცხვი ჯერჯერობით ორასამდეა. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე „ჯორჯიან კარდის“ პლასტიკური ბარათით საქართველოში 10000-მდე ადამიანი ისარგებლებს.

„ჯორჯიან კარდის“ პლასტიკური ბარათების მიმოქცევაზე საპროცესინგო ცენტრთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა 150-ზე მეტმა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და მომსახურების სხვა სფეროს ორგანიზაციამ, რომელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

პლასტიკური ბარათები შეიძლება გამოიყენოთ თითქმის ყველაფრისათვის და პრაქტიკულად ყველგან. მათი გამოყენება კი ძალიან ადვილია – საკმარისია გადასცეთ თქვენი ბარათი მოვაჭრეს და ხელი მოაწეროთ, რომ შეიძინეთ საქონელი. ყოველთვიური ამონაწერი საშუალებას იძლევა შეამოწმოთ საყიდლები, ვიდრე მათ საფასურს გადაიხდიდეთ.

ქართული პლასტიკური ბარათების ღირებულება არის 15$-ის ექვივალენტი ლარი, შეძენის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსით, ხოლო მინიმალური შენატანი 200 ლარი და ზევით ნებისმიერ ზღვრამდე.

ანგარიშსწორების საბარათო სისტემის მოხერხებულობა უწინარეს ყოვლისა ისაა, რომ ამ მეთოდით მოსარგებლე მაღაზიებსა და სხვა საწარმოებში მისვლის, ან უცხოეთში გამგზავრების დროს არ არის საჭირო, იქონიო დიდი ოდენობის ნაღდი ფული.

პლასტიკური ბარათების საქართველოში „დაბადების დღე“ აღინიშნა „საქართველოს ბანკში“. პრეზენტაციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ბატონმა ვლადიმერ პატეიშვილმა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის აღნიშნული სიახლის ჩვენში დანერგვის საქმეში. სიტყვები წარმოთქვეს ბატონებმა – გიორგი ცნობილაძემ – ფირმა „იმედის“ პრეზიდენტმა და საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ.

შეკრებილი საზოგადოება თითო ჭიქა შამპანურით მიესალმა ამ საჭირო წამოწყებას.

**მაია დათიაშვილი**

## ღარიბაშვილი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს გამოძიების მსვლელობაზე

*BGI-ის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებლებს, გიორგი ნოზაძეს და გიორგი კავსაძეს, რომლებმაც უარყვეს ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილის მიერ 22 მაისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის, თამაზ ელიზბარაშვილის საქმეზე მომუშავე გამომძიებლები მოისყიდეს.*

გიორგი კავსაძე: – ქართლოს ღარიბაშვილი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს გამოძიების მსვლელობაზე. მთელი ჩემი სამუშაო პრაქტიკის მანძილზე პირველად შევხვდი მსგავს მეთოდს. თამაზ ელიზბარაშვილს 5 ადვოკატი ჰყავს. მას შემდეგ, რაც საქმეში ქართლოს ღარიბაშვილი ჩაერთო, პრესის ფურცლებზე სკანდალი ატყდა. მიმაჩნია, რომ ღარიბაშვილი ამას თვითრეკლამის მიზნით აკეთებს. ამასთანავე, მან აქამდე ვერ გამოკვეთა თავისი პოზიცია, არ უსაუბრია საქმის არსზე გამომძიებლებთან.

ქართლოს ღარიბაშვილმა არაერთგზის განაცხადა იმის შესახებ, რომ ბატატუნაშვილის ჩვენებები საკმარისი არ არის ელიზბარაშვილის დასაკავებლად. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება – მოცემულ საქმეზე გამოძიებას სხვა მოწმეების საკმარისი ჩვენებებიც გააჩნია. ყველა სერიოზულ ჩვენებას, რომელთა საფუძველზეც დააკავეს ელიზბარაშვილი, ჩვენ სასამართლოში გადავცემთ.

*– დადის ჭორები, რომ ელიზბარაშვილს მომავალ კვირაში გაათავისუფლებენ...*

გიორგი ნოზაძე: – ძიების ქვეშ მყოფთა განთავისუფლება არ შედის ჩვენს მოვალეობებში – ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

*– თავის პრეს-კონფერენციაზე ელენე თევდორაძე ირწმუნებოდა, რომ აქამდე არ დაუპირისპირებიათ ბატატუნაშვილი და ელიზბარაშვილი. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?*

გიორგი თემზაძე: – მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გამომძიებელს უფლება აქვს მოახდინოს დაპირისპირება იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილთა, ან მოწმეების ჩვენებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს გამოძიების უფლებაა. შესაძლოა დაპირისპირება საერთოდ არ მოხდეს და, მიუხედავად ამისა, საქმე მაინც გადაეცემა სასამართლოს. ეს არ გახლავთ კანონის დარღვევა. როგორც წესი, შუამდგომლობა დაპირისპირების შესახებ ხელით იწერება. ელიზბარაშვილის შუამდგომლობა მუდამ კომპიუტერზეა აკრეფილი. მე რაღაც არ მინახავს იზოლატორში კომპიუტერი.

გიორგი კავსაძე: – ჩვენ მოგვმართეს ელიზბარაშვილის ახლობლებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის ბავშვობიდანვე ასთმითა და ეპილეფსიით არის დაავადებული. ველოდებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას. ბატატუნაშვილს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა. როცა ორივე დასკვნას მივიღებთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გვექნება მათ დასაპირისპირებლად.

*– ელენე თევდორაძე ირწმუნება, რომ ბატატუნაშვილს დათრგუნული იერი ჰქონდა...*

გიორგი ნოზაძე: – როგორი თვალები შეიძლება ჰქონდეს იზოლატორში მყოფ ადამიანს? ჩვენ ხელთა გვაქვს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბატატუნაშვილს არავინ თითით არ შეხებია. თუმცა, ღარიბაშვილმა აქედან შეიძლება დასკვნას, რომ ექსპერტიც მოსყიდულია.

*– ღარიბაშვილის განცხადებით, ელიზბარაშვილი რჩეულიშვილის კონკურენტი იყო და ამიტომ მან ის გზიდან ჩამოიცილა...*

გიორგი ნოზაძე: – ეს უკვე სულ სხვა საკითხია. არ შეიძლება პოლიტიკისა და კანონის ერთმანეთში არევა.

*– ელენე თევდორაძეც და ქართლოს ღარიბაშვილიც ამტკიცებენ, რომ ბატატუნაშვილმა შეცვალა ელიზბარაშვილის წინააღმდეგ მიცემული თავისი ჩვენებები. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?*

გიორგი ნოზაძე: – არავის საკუთარი ჩვენება არ შეუცვლია.

## საქართველო და თურქეთი ეკონომიკურ ურთიერთობებს აღრმავებენ

9–დან 13 ივნისამდე, თბილისში ჩამოდის თურქეთის სამთავრობო დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის აიფერ ილმაზის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედის 100–მდე თურქი ბიზნესმენი. აღნიშნული ვიზიტის მიზანია საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობების მომავალი გაღრმავება.

ქართველ და თურქ ბიზნესმენებს შორის კონტაქტების დამყარების საკითხებით დაკავებულია ქართული ფირმა „ბიზნეს ასისტენტი", რომელმაც უკვე მიიღო შესაბამისი უფლებამოსილებანი საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსაგან. წინასწარი მონაცემებით, აღნიშნული შეხვედრისადმი ინტერესი უკვე გამოავლინა 26–მა ქართულმა ფირმამ, თუმცა, შეხვედრაში მონაწილე ბიზნესმენთა საბოლოო სია მხარეთა შესაბამისი შეთანხმების შემდეგ გაირკვევა.

თურქეთის დელეგაციის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავის თავზე იღებს თურქეთის საელჩო საქართველოში. (იფრინდა)

## პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია იხილავს მოქალაქე ირაკლი კორძახიას კონსტიტუციურ სარჩელს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე თვლის, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის – „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" მე–12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ გადასახადის გადამხდელებს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები უნდა გაუხსნან მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ კი 5 დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს შესაბამის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს – ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე–20, 39–ე მუხლებს და 41–ე მუხლის მეორე პუნქტს. პროცესი გრძელდება. (იფრინდა)

## შესაძლოა თბილისი კვლავ ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს

"საქტრანსგაზმრეწვი"–ს ხელმძღვანელობა აფრთხილებს „თბილგაზს" – თუ 1 ივნისამდე არ დაიფარება მათ მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება, რომელიც 400 ათას ლარს შეადგენს, „თბილგაზს" შეუწყდება ბუნებრივი აირის მიწოდება. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს სათბობ–ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურიდან აცნობეს. (იფრინდა)

# პოლონეთის არმიაში მებრძოლი ქართველი ოფიცრების სია

„სადაურსა სად წაივან, სად აღუფხვრი სადით მირსა"
რუსთაველი

მტკიცება არ სჭირდება, რომ საქართველოს მე–20 საუკუნის ისტორიაში უამრავი თეთრი ლაქაა განსაკუთრებით ეს ეხება 1921 წლის შემდგომ პერიოდს. ამიტომაცაა, რომ დოკუმენტი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, საქართველოსათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. შემოთავაზებული სია პოლონეთის სამხედრო არქივიდან მოგვაწოდეს. ჩვენი პოლონელი მეგობრების ამგვარი ყურადღება და ზრუნვა საქართველოსა და ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული. ჩვენი ქვეყნების ისტორიული ბედი ხომ ბევრი ნიშნით ჰგავს ერთმანეთს. ამიტომაც ორმაგად სასიხარულოა ჩვენთვის, რომ 1922 წლიდან საკონტრაქტო საფუძველზე პოლონეთის არმიაში მსახურობდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და კავკასიელი მთიანეთის წარმომადგენლები. დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ უკვე 1923 წელს მათი რიცხვი 38 აღწევდა. ხოლო ამ საქმის სულისჩამდგმელი და მოთავე იყო დივიზიის გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. როგორც პოლონელი მეცნიერები ამბობენ, ეს ოფიცრები პოლონეთის არმიაში კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდნენ, შემდგომ ბევრმა მათგანმა მიიღო პოლონეთის მოქალაქეობა და ამდენად მათი კვალი უფრო ძნელი მოსაძებნი გახდა, თუმცა 1934 წლამდე კიდევ არსებობს ზოგიერთ მათგანზე საკონტრაქტო საბუთები. ასევე ცნობილია, რომ გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვებამ და აღმოსავლეთით რუსეთის გაძლიერებამ ჩვენს თანამემამულეებშიც გამოიწვია მონოლითური ერთიანობის ნგრევა. ამ საკითხზე ჩვენს პოლონელ მეგობრებს ერიდებათ საუბარი, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე ბოლომდე იბრძოდა პოლონეთის თავისუფლებისათვის და ვარშავის აჯანყებაშიც ბევრმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა. მათ ისიც ემაყებათ, რომ მათ არმიაში დამოუკიდებლობის დროს 6 ქართველი გენერალი იბრძოდა.

წინამდებარე სია მხოლოდ მცირედ თუ აკმაყოფილებს ჩვენს წყურვილს შევიცნოთ ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა, პირიქით, უფრო აღვიძებს ცნობისწადილს და უამრავ კითხვებს წარმოშობს. ამიტომ მივმართავთ ყველას, ვისაც რაიმე დამატებითი ცნობა აქვს აღნიშნული ფაქტის, თუ სიაში მოცემული პიროვნებების შესახებ, გამოგვეხმაუროს.

**მანანა იაშვილი**

### უკაზი (ბრძანებულება) ნუსხა

პოლონეთის არმიაში კონტრაქტის საფუძველზე სამსახურის შესახებ ქართველი, აზერბაიჯანელი და მთის კავკასიელებისა
1923 წლის 15 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| 1. | დივიზიის გენერალი – | ალექსანდრე (ალექს) ზაქარიაძე |
| 2. | ბრიგადის გენერალი – | ივანე ყაზბეგი |
| 3. | –"– | ალექსანდრე კონიაშვილი |
| 4. | –"– | ზაქარია ბაქრაძე |
| 5. | –"– | ალექსანდრე ჩხეიძე |
| 6. | –"– | კირილე ქუთათელაძე |
| 7. | პოლკოვნიკი – | ნიკოლოზ ვაჩნაძე |
| 8. | –"– | ალექსანდრე ბაგრატიონი |
| 9. | –"– | კონსტანტინე კიკვიძე |
| 10. | პოლკოვნიკი – | ნიკოლოზ კანდელაკი |
| 11. | –"– | რომან გველესიანი |
| 12. | პოდპოლკოვნიკი – | პლატონ მიქელაძე |
| 13. | –"– | ვალერი სიდამონ–ერისთავი |
| 14. | მაიორი – | ვალერიან თევზაძე |
| 15. | –"– | კონსტანტინე ტერიაშვილი |
| 16. | –"– | ბიძინა ქუთათელაძე |
| 17. | –"– | ვლადიმერ სიამაშვილი |
| 18. | –"– | ბორის ლოლობერიძე |
| 19. | –"– | ედიგარ იზრაფილ ბეგი |
| 20. | –"– | არჩილ ბეკ ედიგაროვი |
| 21. | კაპიტანი – | ალექსანდრე ალავიძე |
| 22. | –"– | დავით მაჭავარიანი |
| 23. | –"– | ვასილ ინჯია |
| 24. | –"– | დავით ქუთათელაძე |
| 25. | როტმისტრი – | გიორგი ფავლენიშვილი |
| 26. | კაპიტანი – | დავით ვაჩნაძე |
| 27. | –"– | არტემ არონიშიძე |
| 28. | –"– | ალექსი კობიაშვილი |
| 29. | –"– | გიორგი მამალაძე |
| 30. | პორუჩიკი – | ალექსანდრე ყიფიანი |
| 31. | –"– | ივანე ქავთარაძე |
| 32. | –"– | ისლამ–გირეი ნაუროზოვი |
| 33. | –"– | სევერიან ჭყონია |
| 34. | –"– | მიხეილ რუსიაშვილი |
| 35. | "– | დავით კლიმიაშვილი |
| 36. | –"– | დიმიტრი შალიკაშვილი |
| 37. | –"– | გიორგი მრელაშვილი |
| 38. | –"– | გიორგი ჯავახიშვილი |
| 39. | –"– | გედევან ხუნდაძე |



სიცოცხლე მძლავრობს

# შეიძინეთ რკინის ქალამნები

პრივატიზაციის კამპანია საკმაოდ ბევრ გაუგებრობებს წარმოშობს. მრავალი ადამიანისათვის აუშლიათ ნერვები. სასამართლოებიც ბევრ ასეთ საქმეს განიხილავენ. არ უჩანს ბოლო დაუსრულებელ პროცესებს. ერთი ასეთი პროცესი 22 მაისს საქალაქო სასამართლოში ჩატარდა. ერთმანეთის პირისპირ დადგა მოსარჩლე – მაღაზია „დედოფალას" მომსახურე პერსონალი და შპს „კერა 21". რთული ეკონომიკური ტერმინოლოგიის კორიანტელი რომ არ დავაყენოთ და ადამიანური ენით ვთქვათ, ამ ორმა მხარემ 1994 წელს გააფორმა ხელშეკრულება და მოახდინეს მაღაზიის შესყიდვა ათი წლის არენდით. შესატანი თანხის და დივიდენდების ხვედრითი წილი ასე განაწილდა: მაღაზიის შრომითი კოლექტივი – 51%. „კერა 21" – 49%. მოვლენების თავბრუდამხვევმა განვითარებამ ის მოიტანა, რომ შრომით კოლექტივს არც ერთი კაპიკი არ შეუტანია შესასყიდ თანხაში და მთელი ტვირთი „კერა 21"–ს დააწვა. ახალი ხელშეკრულების დადებისას წილების შეფარდება შეიცვალა – „კერა 21"–ის სასარგებლოდ. მაღაზიის მომსახურე პერსონალი ამტკიცებს, რომ მათი ხელისმოწერები დოკუმენტზე იმის შედეგად მოხვდა, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს, თუმცა, რა გზით, ცხადი არ არის. როგორც წესი, როცა ადამიანი რაიმე დოკუმენტს ხელს აწერს, უნდა იცოდეს რას აკეთებს. საბოლოოდ საკონტროლო პაკეტის მფლობელმა ეჯიქიამ („კერა–21"), ეს თანამშრომლები გაანთავისუფლა სამსახურიდან შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა მათ რჩებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწილის უფლებები – მოსამართლის მიერ შეთავაზებული წინადადება კომპრომისული გადაწყვეტის შესახებ თანამშრომლებმა უარყვეს. მათ ერთმნიშვნელოვნად სურთ „კერა 21"–ის გამოძევება, უარის შემთხვევაში საკონტროლო პაკეტი მაინც. სიტუაციის მთელი კომიზმი იმაშია, რომ მათ არც დოკუმენტები აქვთ, რადგან არ ინახავდნენ თურმე, ხოლო „კერა–21"–ის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, მათი თქმით, გაყალბებულია. სამაგიეროდ საკმაოდ აქტიურად „დაამუშავეს" ჟურნალისტები, ეს „სიამოვნება" ტელეკომპანია „კავკასიის" კორესპონდენტმა თავის თავზე გამოსცადა. მოკლედ, როგორც უთქვამთ Ultim ratio regnum, მათ სამსახურშია.

**პაატა მანძულაშვილი**

## აფხაზეთის მინისტრთა საბჭო გულისხმიერებას ელის

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭო გაკვირვებას გამოთქვამს აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში სარეაბილიტაციოდ და სამკურნალოდ გამგზავრების ორგანიზაციული საკითხებისადმი ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის გულგრილი დამოკიდებულების გამო, მაშინ, როდესაც გერმანიის საელჩო საქართველოში, ვიზებს უფასოდ, ხოლო საპასპორტო განყოფილება 100 ბავშვს შეღავათიან ფასებში უმზადებს პასპორტებს.

მინისტრთა საბჭო იმედოვნებს, რომ დარჩენილი მცირე დროის განმავლობაში, ორგანიზაციები, რომელთაც მინისტრთა საბჭომ დახმარებისათვის მიმართა, გულისხმიერებას გამოიჩენენ და თავის წვლილს შეიტანენ დევნილი და ობოლი ბავშვების მორალური და ფიზიკური რეაბილიტაციის ამ მნიშვნელოვან აქციაში. (იფრინდა)

## ელენე თევდორაძის ტერაქტის მცდელობასთან დაკავშირებულ საკითხებს იძიებენ

საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი პირადად დაინტერესდა გაზეთ „ახალ თაობაში" გამოქვეყნებული, პარლამენტარ ელენე თევდორაძის ინტერვიუთი, რომელშიც დეპუტატი აცხადებს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ტერორისტული აქტის მცდელობას – იუწყება პროკურატურის პრეს–ცენტრი.

გენ. პროკურორის დავალებით, პროკურატურამ, უშიშროების სამინისტროს ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, საერთაშორისო ნარკობიზნესთან და ეკონომიკურ დივერსიებთან ბრძოლის ბიუროს ფაქტები გადაუგზავნა შესამოწმებლად. (იფრინდა)

## თურქეთის ელჩი საქართველოში აფხაზეთს მიბრძანდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, რომ უახლოეს ხანებში, თურქეთის ელჩს საქართველოში თევფიქ ოქიაიუზს დაგეგმილი აქვს აფხაზეთში ვიზიტი, სადაც გაიმართება შეხვედრა აფხაზეთის ე.წ. მთავრობასთან. წყაროს თქმით, სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებათა თემა – ქართულ–აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გზები იქნება.

დამკვირვებლები საქართველოში ვარაუდობენ, რომ სოხუმში საუბარი შეეხება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციაში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებული ბატალიონის შესაძლო მონაწილეობას, რომლის შემადგენლობაშიც, ოფიციალური თბილისისათვის სასურველია, უკრაინა და თურქეთი შევიდეს.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის საკითხში სრული ინერტულობის ფონზე, ქართველი დამკვირვებლები აღნიშნავენ ნატო–ს ქვეყნების წარმომადგენელთა განსაკუთრებულ აქტიურობას ამ საკითხში. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან «სუკი და ძალაუფლება»

# ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა

ფილიპ ბობკოვი

დილის ექვს საათზე გამაღვიძა გუმბარიძის მორიგმა ზარმა: - უბედურება დაგვემართა. ჯარებმა მოედანი გაწმინდეს, თორმეტი ადამიანი დაიღუპა.

მე ყოველივე კრიუჩკოვს მოვახსენე. მან - რაზუმოვსკის, და მე მივიღე ბრძანება, სასწრაფოდ გადავფრენილიყავი თბილისში.

მერამდენედ მივფრინავ თბილისში. მე ყოველთვის მსიამოვნებდა ამ ქალაქთან, მის ისტორიასთან, ხალხთან შეხვედრა. „სევდიანი საქართველოს მთები" ყოველთვის მიზიდავდნენ თავისი თვითმყოფადობით, ხოლო ამ ღვთისკურთხეული მხარის ხალხი - სულის სისპეტაკითა და რაინდობით, თავისი სიტყვისა და მეგობრობისადმი ერთგულებით.

განსაკუთრებული გრძნობა გიპყრობს, როდესაც თვითმფრინავით კავკასიის მთავარ ქედს გადაუფრენ და შენს ქვემოთ ყაზბეგსა და ელბრუსს ხედავ. ამაღლებული, მკაცრი და ულმობელი სილამაზე...

თუმცაღა შფოთიანი ღამის შემდეგ თბილისისაკენ ფრენა სულაც არ განმაწყობდა ბუნების მშვენიერებათა აღფრთოვანებისათვის. მთელი ჩემი ფიქრები მიმდინარე მოვლენებისაკენ იყო მიმართული. მე შეგნებული მქონდა ჩემი მისიის მთელი პასუხისმგებლობა და არცთუ კარგად მესმოდა, ცოტა არ იყოს, როგორც მე მეჩვენებოდა, განკერძოებული პოზიცია, საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობისა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ იმ ღამის მოვლენების შესახებ ინფორმაცია ჩვენ მივიღეთ რესპუბლიკური სუკ-ის მხრიდან, მაშინ, როდესაც სამთავრობო და პარტიული არხები ჩუმად იყვნენ.

ყოველივე ეს ეჭვებს ბადებდა, რამეთუ როგორც არაერთხელ მომხდარა, მოვლენები ყველას თვალწინ მიმდინარეობდა, პასუხისმგებლობა რატომღაც სახ-



ელმწიფო უშიშროების აპარატს ეკისრებოდა. გასაგებია, ასე ადვილია ცხოვრება და ამას ყველა შეეჩვია. ვის სიამოვნებს, უფროსობას არასასიამოვნო ამბები აუწყოს? თანაც რაიმე წარუმატებლობის შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება თქმა: „ისევ ერევა სუკ-ი სხვების საქმეში".

არ ჩაერიო და არ იქნება. სხვათა შორის, ჩერნობილის ავარიის შესახებაც უფროსობას პირველად სუკ-ის თანამშრომლებმა შეატყობინეს. მაშინაც მგორბაჩოვმა დაგვიანებული ინფორმაციისათვის გვისაყვედურა. იმის შესახებ, რომ თბილისში მოვლენები არასასურველი გზით ვითარდებოდა, ყველამ იცოდა, მაგრამ მოსკოვიდან იქ მაინც სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე გაფრინდა პირველი, და არა ვინმე სხვა. მე ამ ქალაქს ცუდი გრძნობით ვუახლოვდებოდი, მესმოდა რა, რომ ყარაბაღის ტრაგედიის კვალდაკვალ, თბილისის მღელვარება არასასიხარულო პერსპექტივას გვისახავდა.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №47.

თბილისში ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ 8 აპრილს, საღამოს ქალაქში ვითარება დაიძაბა, ისის იყო მთავრობის სახლის შტურმი უნდა დაწყებულიყო. ამასვე ამტკიცებს იმ ღამეს მოედანზე გაკეთებული ჩანაწერი.

ვიღაცამ გადაკეტა მოედნიდან გასასვლელი, ჭყლეტვის მოწყობის მიზნით ეს სამხედროების კი არა, თვით მეამბოხეთა ნახელავი იყო, ვინც მოაწყო უწესრიგობა. ყველა, ვინც იქ დაიღუპა, ჭყლეტვის მსხვერპლი გახდა.

მაგრამ მიუხედავად სხვადასხვაგვარი ჭორებისა, ტრაგედიაში მთავარი დამნაშავენი იყვნენ ისინი, ვინც ხალხი მოედანზე გაიყვანა, ანტიკომუნისტურ ლოზუნგებს სთავაზობდა და სისხლს მოითხოვდა. ისინი დაპატიმრებულნი იქნენ. ნაცნობი სახელები: გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, წერეთელი - სულ ექვსი კაცი. დაწყებულმა გამოძიებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა...

იმავე დღის ბოლოს თბილისში ჩამოფრინდნენ შევარდნაძე და რაზუმოვსკი. რატომ მხოლოდ დღის ბოლოს? გაუგებარია...

გვიან საღამოს შედგა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიურო. ლაპარაკობდნენ დიდხანს და ბევრს, თუმცა მიღებულ ზომებს არავინ აკრიტიკებდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრაგედიის მსხვერპლი სახეზე იყო.

მაშინვე გადაწყვიტეს, რომ აუცილებელი იყო ჭეშმარიტი პროვოკატორების მხილება, მათი, ვინც შეკრიბა ხალხი. ვინც აქეზებდა ანტისამართლებრივი მოქმედებისაკენ.

- ჩვენ უნდა მხარი დავუჭიროთ საქართველოს კპ ცკ-ს მოქმედებებს. არ გავიმეტოთ ამხანაგი პატიაშვილი, - თქვა სხდომის ბოლოს შევარდნაძემ.

ეს ხდებოდა ღამით. დილით კი მოვლენები სულ სხვანაირად ახსნეს. დარტყმის მთელი ძალა არმიაზე გადაიტანეს. გენერალი როდიონოვი, ვინც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, განტევების ვაცად აქციეს. ბიუროს შემდეგ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა თავს დაესხა ჯარისკაცებს. გაჩნდა ვერსია მესანგრეთა ნიჩბების შესახებ. ვიღაცეები ამბობდნენ, თითქოს საკუთარი თვალით ჰქონდათ ნანახი, თუ როგორ იყენებდნენ ჯარისკაცები ამ იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ. აღარსად ჩანდა გამსახურდიასა და მისი თანამზრახველების პასუხისმგებლობის მოთხოვნები. ყველაფერში დამნაშავე მოსკოვი და პატიაშვილი აღმოჩნდნენ.

სხდომის შემდეგ მე შევარდნაძეს ვუთხარი, რომ ხალხი მოედანზე სულაც არ დახოცილა მესანგრეთა ნიჩბებისაგან. დაჭრილებს საავადმყოფოში არ აღმოაჩნდათ ასეთი სპეციფიკური ჭრილობები. სუკ-ის თანამშრომლების მიერ გადაღებული ფილმი ამას ადასტურებდა; ნიჩბები აქ არაფერ შუაში არ იყო.

- განა არსებობს ასეთი ფილმი? - მკითხა შევარდნაძემ.

- რა თქმა უნდა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ასეთი მოვლენების დოკუმენტირება მოვახდინოთ, - ვუპასუხე მე.

ფილმი ნახეს, დარწმუნდნენ, რომ ნიჩბების გამოყენების ვერსია დემონსტრაციის დაშლის მიზნით სრულიად უსაფუძვლო იყო და მშვიდად დადეს დოკუ-



მენტური მასალა თაროზე. ხოლო ამის შემდეგ დაიწყო აშკარა ფალსიფიკაცია.

მალე ყველა დაპატიმრებული, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, განთავისუფლებული იქნა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი მიიღეს. ამ მოვლენების მონაწილეების შესახებ რატომღაც სობჩაკის საპარლამენტო კომისიამაც „დაივიწყა".

როდიონოვს, როგორც დისციპლინირებულ გენერალს, არ შეეძლო ეთქვა რამე ამ ისტორიაში პრეზიდენტის როლის შესახებ, ხოლო გორბაჩოვმა კი დაიწყო იმ ადამიანის როლის თამაში, რომელმაც არაფერი იცის: ყველაფერი, თითქოს მის გარეშე მოხდა, მას უღალატეს, დროზე არ უთხრეს...

საქართველოს მოვლენები ორსახიანობის ერთადერთი გამოვლინება არ იყო. გორბაჩოვმა ამის შემდეგ ახალი ფორმულა შეიმუშავა: „საჭიროა წესრიგის დამყარება. იმოქმედეთ, მე მხარს დაგიჭერთ".

თბილისის მოვლენებმა მოამზადეს საფუძველი გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად, რომლის სამხედრო ძალის გამოყენებით უკანონო ჩამოგდება საქართველოს დიდი სისხლის ფასად დაუჯდა.

ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გამსახურდიას მიმართ ცნობილია, მე არაერთხელ განმიცხადებია ამის შესახებ პრესაში, მაგრამ იგი იყო საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და არავის ჰქონდა უფლება მისი ჩამოგდებისა. ასეთი მოქმედება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

მოსკოვი? ეწინააღმდეგებოდა ამას? არა, ცენტრმა ფაქტიურად მხარი დაუჭირა გადატრიალებას, რესპუბლიკის პირველი კაცის ადგილს შევარდნაძე უმიზნებდა.

ამგვარად, უდანაშაულო ხალხის ნამდვილი მკვლელები ამნისტირებულნი იქნენ მოხერხებული პოლიტიკოსის, კომპრომისების მომხრის მიერ. ისინი კი, ვინც იბრძოდა დემო-ფაშისტის, გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინააღმდეგ, დღემდე ანტიდემოკრატების, „წითელ-ხაკისფრების" დაღით დადიან.

ტყუილად არ შექმნილა საქართველოში, გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, ასეთი ანეკდოტი: გუმბარიძესთან, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, მიდის ნაცნობი და ეკითხება:

„გივი, თბილისის თავზე მართლა დაფრინავენ თეფშები?" - „სისულელეა!". „კი მაგრამ, ზვიადმა ხომ სთქვა". - „ახ, ზვიადმა სთქვა? იცი რა, მართლაც დაფრინავენ".

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ არ მიგვიცია პასუხისგებაში სხვაგვარად მოაზროვნენი და მათ მიმართ არავითარი სხვა დამსჯელი ზომა არ გამოგვიყენებია. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა - ეს არის უკიდურესი ზომა, რომელსაც მიმართავენ მხოლოდ კონკრეტული კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში და ამის მაგალითია ზვიად გამსახურდია.

თბილისის მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარე ა.ინაური, ღირსეული ადამიანი, აყენებდა საკითხს გამსახურდიას დაპატიმრების შესახებ, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივებას, მაგრამ ჩვენ მას არ დავეთანხმეთ.

როგორღაც, ჯერ კიდევ 70-იან წლებში, მე ჩავფრინდი საქართველოში, შევხვდი შევარდნაძეს. მან დამიყენა საკითხი გამსახურდიას დაპატიმრების შესახებ. მე ვიუარე და ჩემი უარი იმით დავასაბუთე, რომ საქართველოს საზოგადოება ვერ გაიგებს: ისინი არ იცნობენ მის დანაშაულებრივ ქმედებებს, მას იცნობენ მხოლოდ როგორც ქართული



ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟს, რომელიც ეს-ესაა წავიდა ამ ცხოვრებიდან. უკეთესი იქნებოდა გამსახურდია - შვილის მოღვაწეობა მამის ხსოვნის უკვდავყოფისაკენ მიიმართოს, ვინც მთელი ცხოვრება ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა. ზვიადს შეეძლო კონსტანტინე გამსახურდიას მუზეუმისათვის თავკაცობა გაეწია მისი ძეგლის დადგმის შესახებ ეფიქრა, ეჩვენებინა მისი მსოფლიო მნიშვნელობა იუნესკო-ს საშუალებით.

უნდა ითქვას, რომ შევარდნაძემ დამიჯერა. იგი გამოვიდა პარტაქტივის ერთ-ერთ სხდომაზე, დაწვრილებით მოჰყვა, თუ რას წარმოადგენდა ზვიად გამსახურდია, შეაფასა მისი მოქმედებები, გამოაჩინა ტიპიური პროვოკატორის ნამდვილი ხასიათი. მისი გამოსვლა გადაიცა ტელევიზიით, დაიბეჭდა გაზეთებში. თუმცაღა, ზვიად გამსახურდია არ დაუპატიმრებიათ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხადი გახდა მისი კავშირი ამერიკის საელჩოს რეზიდენტურასთან, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს გამსახურდიას, როგორც „სამართალდამცავს". იგი დაპატიმრებული იქნა ფაქტებზე.

შევარდნაძე? მან თავისას მიაღწია: კანონის საწინააღმდეგოდ მოხვდა საქართველოს მთავრობის სათავეში. ალბათ, თავისი საზღვარგარეთელი მეგობრების დახმარების იმედი ჰქონდა. ფიქრობდა, რომ იქიდან დოლარების ნიაღვარი წამოვიდოდა და თვალის დახამხამებაში საქართველოს აყვავებულ მხარედ აქცევდა, ისეთად, როგორიც სსრკ-ს შემადგენლობაში იყო. ჯერჯერობით კი, ქართველ ხალხს ძვირად უჯდება შევარდნაძის პოლიტიკა.

გაგრძელება იქნება



• დღიურები

# რეზო მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

*„ხუთი მრისხანე წელი“ – ასე უწოდა რევაზ მიშველაძემ თავისი დღიურების ერთ წიგნს (1991–96 წწ.), რომელთა გამოქვეყნება მწერალმა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ისურვა, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმდით.*

*მართლაცდა, ზემოთ ხაზგასმული წლები უაღრესად საინტერესო, ურთულესი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე და კინაღამ საბედისწერო წლები იყო საქართველოს ისტორიაში.*

*მწერალი, როგორც თვით ბრძანებს, ამ დღიურებს გამოსაქვეყნებლად როდი წერდა. უბრალოდ, თავის ყოველდღიურობას ინიშნავდა. ჩვენ კი მით უფრო ღირებულად ვცანით მათი გამოქვეყნება. ჯერ ერთი, ზოგჯერ „აზრთა დაუვარცხნელობისა“ და რ.მიშველაძისთვის დამახასიათებელი უშუალობის გამო და მეორეც, მომავლის ისტორიკოსისთვის მასალების მისაწოდებლად.*

*ამ დღიურებით ცოცხლდება ის საშინელი მოვლენები, რომელთა მოწმენიც ვართ. მოვლენათა შეფასება შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს და დღიურების ბეჭდვის დასრულების შემდეგ მას ბევრი გამოეხმაუროს, მაგრამ სუბიექტურობისაგან დაზღვეული არცერთი მოკვდავი არ არის. მთავარი ისაა, რომ ამ დღიურებიდან თვით მოვლენათა თანმიმდევრობა და სინამდვილე ეჭვგარეშეა.*

*მწერლობის მოვალეობა ისიცაა, საზოგადოება კოლექტიურ სკლეროზს გადაარჩინოს, რაც არაერთხელ დაგვმართნია. ადვილად ვივიწყებთ იმას, რაც იყო გუშინ. ეს კი უბრალო გულმავიწყობა არ გახლავთ, ამ „გულმავიწყობით“ ვადასტურებთ, რომ შეცდომებზე ვერ ვისწავლეთ და შეიძლება შეცდომები შეუცდომლად გავიმეოროთ. ამიტომ ასეთი დოკუმენტური ხასიათის მასალების საჭიროებას სწორედ ამ განმაზოგადებელი მნიშვნელობით ვხედავთ უპირველეს ყოვლისა.*

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

***P.S.*** *ვფიქრობ, განათლებულ მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ ავტორის აზრი ყოველთვის შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ამას იმ პირთა გასაგონად ვამბობ, რომლებმაც, მიშველაძის დღიურების გამო განაწყენებულებმა, შეიძლება გაზეთის მისამართითაც აღავლინონ „ლოცვა–შეკურთხება“...*

### მწერლების გამგზავრება მოსკოვში გამსახურდიას თხოვნით

**5,6,7/III.91 წ.**

6–ში ზვიად გამსახურდიამ გვიხმო მწერლები: შ.ნიშნიანიძე, მ.ლებანიძე, გ.გაჩეჩილაძე, გ.გვერდწითელი, მ.ხეთაგური, ი.ბოგომოლოვი და მე. გვთხოვა, მოსკოვში ჩაბრძანდით და იქაურებს სიმართლე უამბეთ საქართველოზეო. დელეგაციის ხელმძღვანელობა მე დამავალა. 8–ში უნდა გავფრინდეთ.

**8/III – 13/III.91 წ.**

მოსკოვში ვართ.

მურმან ლებანიძე და შოთა ნიშნიანიძე, 20 წელია ხმას რომ არ სცემდნენ ერთმანეთს. გზაშივე შერიგდნენ.

ჩავედით. ჩვენს წარმომადგენლობაში ოსები დაგვხვდნენ პლაკატებით – „ქართველი ჩვენი კეთილი ძმა და მასპინძელია“, „დამნაშავეა კრემლი!“.

შევხვდით მოშიმშილეებს – ვალტერ შურღაიას, გია თასოევს და ეთერ შუკვანს.

მოსკოვი, ჩვენს მიმართ დაყრუვდაო, ვ.შურღაიამ. თქვენ, მწერლები თუ გვიშველითო.

ჩვენც მაშინვე ჩავერთეთ.

დავურეკეთ მწერლებს, მოვედით რედაქციებს. მივედით ტელევიზიაში განცხადებით: სანამ გაგრძელდება საქართველოზე ცილისწამებანი?

პირველი საღამო 8–შივე, იმ საღამოსვე გავმართეთ საკრებულოში.

ყველანი გამოვედით.

მეორე, დიდი შეხვედრა საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ გავმართეთ 11 მარტს, 5 საათზე.

უამრავი ხალხი მოვიდა – მწერლები, ჟურნალისტები, უცხოეთის კორესპონდენტები, უბრალო მოქალაქენი.

შესავალი სიტყვები მღელვარებით ვთქვი.

მერე დავწყნარდი.

პირველი სიტყვა მ.ლებანიძეს მივეცი.

მერე შოთა ნიშნიანიძე.

გოგი გაჩეჩილაძე

გურამ გვერდწითელი

მზია ხეთაგური

იგორ ბოგომოლოვი...

დიდი კამათი გაიმართა.

გამოდიან ვლადიმირ სოლოუხინი,

ვლადიმირ ვოინა

ვლადიმირ ლეონოვიჩი

იან გოლცმანი

ელიზბარ ანანიაშვილი

კარგად ჩატარდა.

მე მგონი, გავარღვიეთ ინფორმაციული ბლოკადა.

მოვაქციეთ ხალხი ჩვენი სიმართლისკენ.

ბრალი დავდეთ იმპერიას.

მესამე შეხვედრა 12–ში – მოსკოველ ოსებს შევხვდით, იმავე დღეს მწერალთა კავშირში დიდი თათბირი გავმართეთ რუს მწერლებთან.

შესავალ სიტყვაში გაოცება გამოვთქვი – რატომ სდუმს–მეთქი რუსული მწერლობა.

აკი ასე განებივრებული ვიყავით–მეთქი თქვენი ყურადღებით.

მეორე შეხვედრაზე ნოდარ ნათაძე გვახლდა.

ოსეთის საკითხზე ითხოვა და მივეცი სიტყვა. ყოველ დილით და საღამოს ველაპარაკები ზვიადს ტელეფონით. ძალიან ღელავს, ძალიან ნერვიულობს. ვამშვიდებ – ყველაფერი კარგად იქნება–მეთქი.

მე მგონი შევასრულე ჩვენი ეროვნული ვალი.

13–ში გამოვფრინდით შოთა, გოგი და მე. მურმანი და გურამ გვერდწითელი დარჩნენ რაღაცა საქმეებზე.

დამავიწყდა. ზვიადმა ტელეფონში მითხრა, მანდ ნ.ნათაძეა და სიტყვა არ მისცეო (?!)

ნოდარს მაინც მივეცი სიტყვა.

**14/III – 22/III.91 წ.**

ტელევიზიაში, გაზეთებში არ წყდება საუბრები მოსკოვურ შეხვედრებზე.

მეგონა, ჩემს რუსულზე გაიღიმებდა თბილისი, პირიქით, ყველამ მითხრა, რა დიდი საქმე გააკეთეთო.

გუშინ, 20–ში ვესწრებოდი სესიას. ზვიადმა მოსაწვევი ბარათი გამომიგზავნა.

რაღაც კანონების შელამაზებაზე იყო ლაპარაკი.

გავბრაზდი და ამირან კალაძეს ვუთხარი – როგორ გეკადრებათ ასეთი რამ, თქვენი სესია იმ ოთხი ქართველი ახალგაზრდის დაწვის ამბით უნდა დაწყებულიყო–მეთქი.

საშინელი, ვანდალური, კანიბალური ამბავი მოხდა.

ეს ჰიტლერსაც კი არ ჩაუდენია.

გაიქცა ამირანი და განცხადება გააკეთა.

სესია თითქოს გამოერკვა.

21–ში „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „ვესტნიკ გრუზიამ“ დაბეჭდეს ჩემთან ინტერვიუები.

მთელი დღე უნივერსიტეტში ვქაქანებდი, ვყვიროდი, ვბღაოდი: წავიდეთ, ვიძიოთ შური ოთხ დამწვარ ქართველზე–მეთქი. გაგიგონია?

კამერებივით დაიზლაზნებოდნენ სტუდენტებიც და ჩემი კოლეგა ლექტორებიც.



### კიდევ ერთხელ იზეიმა უნამუსობამ

**23/III–31/III, 1,2/IV.91 წ.**

მთელი კვირა რეფერენდუმის მზადების ნიშნით ჩატარდა.

ელცინი და გამსახურდია ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს.

მეორე დღესვე ამის შესახებ მთელი იმპერია ალაპარაკდა.

ხელშეკრულებაში სწერია: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

ამან გააცოფა რსფსრ–ს პარტიული დეპუტაცია და აი შედეგიც.

რსფსრ–მ 31–ში მიიღო რეზოლუცია ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ.

ვინ კითხავდა რსფსრ–ს.

ელცინმა გაგვყიდა. ამბობენ, ზვიადი რომ არ შეეგება, ამაზედაც გაბრაზდაო.

ასეა თუ ისე, გორბაჩოვს ხელ–ფეხი გაეხსნა.

მანაც არ დააყოვნა და 1 აპრილს მიიღო დადგენილება სამაჩაბლოში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

ეს იმას ნიშნავს, რომ „ოსეთი“ (?!) სამაჩაბლო – ჩვენი მიწა დავკარგეთ.

გაგიჟებული დავდივარ ქუჩებში.

კიდევ ერთხელ იზეიმა უნამუსობამ.

ვაი, მცირერიცხოვანი ერის ბრალი.

დღეს ოთარ იოსელიანმა დამირეკა, გაზეთ „ცხოვრების“ რედაქტორად დამნიშნესო.

მივედი, მივულოცე, სხვათაშორის ვკითხე: შენ ხომ ვერ მომცემ–მეთქი ერთ ოთახს – „ღიმილისათვის?“

დიდი სიამოვნებითო.

მაშ ასე, „ღიმილის“ რედაქციის ოთახიც ვიშოვე.

**3,4/IV.91 წ.**

დღეს გორბაჩოვის განკარგულებით სამაჩაბლოში იმპერიის ჯარი შევიდა.

ეს თითქმის ისეთივე დაპყრობა, ანექსიაა საქართველოსი, როგორიც იყო საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ანექსია.

რას ვიზამთ, დაპყრობილი ვართ ჩვენ უკვე თითქმის ორასი წელია.

მაინც რაღაც გამოგვაპარეს, რაღაც დავაკელით სამაჩაბლოს პრობლემას. რა დავაკელით, თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

არ გვაცალა რეფერენდუმის ბრწყინვალე შედეგების რეალიზება მოსკოვმა.

როგორ „ვუყვარებივართ“ რუსეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. რა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება – საქართველოს ანექსიაზე. რაღაც დავაკელით–მეთქი.

ჩვენ როცა ასე ენერგიულები ვართ ერთმანეთის მიმართ ქიშპობაში, ლამის გულგრილნი აღმოვჩნდეთ ველურების მიერ ოთხი ქართველის დაწვის ფაქტის მიმართ.

ესე იგი რაღაც გვაკლია. ესე იგი ჩვენი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე ჯერ კიდევ შეგნებული არა გვაქვს. ესე იგი ჯერ კიდევ შორი–შორს დევს ჩვენ არსებაში ფინთიხი და მუგუზალი.

რა უნდა გავაკეთოთ?

კრემლის აგრესიას ენერგიული პროტესტი, გამოსვლები, მიტინგები, საყოველთაო ზიზღი უნდა დავუპირისპიროთ.

დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები თავიანთ მშობლიურ მიწაზე.

მიწის არცერთი მტკაველი უბრძოლველად არ უნდა დავთმოთ.

და ბოლოს, ჩვენს უზენაეს საბჭოს მოვუწოდოთ, რა ძალუმადაც უნდა მოგვექცნენ და რა დიდიც უნდა იყოს კრემლის დაწოლა, არ დავუშვათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა.

დღეს, 4 აპრილს, ტელევიზიით გამოვედი და მოვუწოდე ქართველ ხალხს: არ დავთმოთ–მეთქი არცერთი მტკაველი ჩვენი მიწისა.

### ენით არ გადმოიცემა, რაც დარბაზში სუფევდა

**5–8/IV.91 წ.**

წითელი პარასკევი! აღდგომა!

უკეთილშობილესი რელიგიის – ქრისტიანობის ულამაზესი დღესასწაული.

რა ბრძენი და დიადი, რა გაუხუნარია ქრისტე თავისი ცხოვრებითა და წამებით. როგორ სჭირდება იგი დღეს ამ არეულ კაცობრიობას სათნოებისა და უნაპირო სიკეთის ქადაგებით. „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“.

ახლა ჩვენი უბედურება?

არის მითქმა–მოთქმა და მიტინგები: ზვიადმა სამაჩაბლო დაგვაკარგვინა და უნდა გადადგესო.

რასაკვირველია, სამაჩაბლო ზვიადის შეცდომაა, მაგრამ გადადგომის მოთხოვნა სისულელეა.

ახლა, ალბათ, სამაჩაბლოს არდაკარგვის ერთადერთი გზაა სამაჩაბლოში დასახლდნენ რაც შეიძლება მეტი ქართველები. ლტოლვილებიც დაბრუნდნენ და სხვებიც დაემატონ.

დავურეკავ და ვეტყვი ზვიადს, მაგრამ დამიჯერებს?

ტელევიზიამ „ღიმილის წუთები“ შემოიღო. რა მეღიმება, მაგრამ გიგა მახვილაძეს უარი ვერ ვუთხარი. ჩამწერეს. იუმორის და სატირის მახვილითაც უნდა ვიბრძოლოთ–მეთქი დამოუკიდებლობისათვის.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არძინბა ამბობს, რომ...

ეუთოს მისიის წარმომადგენლებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გარკვევის მიზნით, რამოდენიმე დღეა აფხაზეთში იმყოფებიან, შეხვდა ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა. აფხაზთა ლიდერმა ადამიანის უფლებათა დამცველებს განუმარტა, რომ აფხაზებსაც იგივე უფლებები აქვთ, რაც ქართველებს და მოლაპარაკება ჩიხშია მოქცეული. სწორედ თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაუცველობის გამო ვლადისლავ არძინბამ ეუთოს წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მიესალმება ჩეჩნეთ-რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულებებს და განაცხადა, რომ უარს არ იტყვის, ამგვარი ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს შორისაც თუ დაიდება.

* * *

ჟურნალისტებთან შეხვედრისას აფხაზთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ ორმხრივი მოლაპარაკება ქართველებსა და აფხაზებს შორის პერსპექტიულია და ასეთი მოლაპარაკებები უნდა შედგეს. მისი აზრით, ბოლოს და ბოლოს, ქართველები მიხვდებიან, რომ ძალითა და ზეწოლით შედეგს ვერ მიიღებენ და მიზნის მისაღწევად საჭიროა მოლაპარაკების გზით ურთიერთობის გაგრძელება.

## რუსეთი ოფიციალურად იხდის ბოდიშს

ჩეჩნეთის ხელისუფლება ღებულობს რუსეთის მთავრობის ოფიციალურ ბოდიშს იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ავიადამხადგურებლებმა უკან დაბრუნება აიძულეს ავიალაინერს, რომლითაც ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი არსანოვი ჰააგაში, რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობათა საკითხზე მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიემგზავრებოდა. რუსეთის მთავრობის სახელით ბოდიში მოიხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა ივან რიბკინმა, რომელმაც ზემოაღნიშნული ინციდენტი რუს ჩინოვნიკთა ზედმეტი სიფრთხილით ახსნა. ასეთი ნაბიჯის შემდეგ ჩეჩნეთის მთავრობამ უარი თქვა საპასუხო განკარგულებაზე რუსეთის ყველა წარმომადგენლის მიერ ჩეჩნეთის ტერიტორიის დატოვების შესახებ. ჯერჯერობით გაურკვეველია, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ჰააგის კონფერენციაში ასლან მასხადოვი, რომელმაც ყაზანში ჩეჩნეთსა და თათრეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა თათრეთსა და ინგუშეთს შორის.

## მოლაპარაკება ჩაშლის ზღვარზეა

უკრაინა-რუსეთის ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკება ჩაშლის ზღვარზეა. რუსეთის დელეგაციამ, რომელსაც მთავრობის წარმომადგენელი ვალერი სიროვი ხელმძღვანელობდა, მოულოდნელად შეწყვიტა მოლაპარაკება და მოსკოვში დაბრუნდა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ პრობლემურ საკითხებზე, რომელთა საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, 28 მაისს კიევს ეწვევა პრემიერი ჩერნომირდინი, ხოლო 30 მაისს პრეზიდენტი ბორის ელცინი.

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

### VII. საქართველოს სრული ფედერალიზაციის, როგორც შინაურ კონფლიქტთა ჩაქრობის საშუალების, კონცეფცია

საქართველოს სრულ ფედერალიზაციას ანუ მთელი საქართველოს დაყოფას ისეთ ერთეულებად, რომელთაც ექნებათ თავ-თავისი შეზღუდული სახელმწიფოებრიობა და იქნებიან „საქართველოდ" წოდებული ერთიანი ფედერაციის სუბიექტები, ზოგნი თვლიან ქმედით საშუალებად, რომ გამოიძებნოს სწორი ფორმულირება აფხაზეთის სტატუსისათვის საქართველოს შიგნით, აგრეთვე სწორად და საკანონმდებლო სიახლეთა გარეშე დაფორმულდეს აჭარასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები. („სწორში" იგულისხმება ა)აფხაზებისთვისაც მისაღები და ბ) იმის მკაფიოდ გამომთქმელი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ამ ადამიანთა მსჯელობა ასეთია:

„არის აფხაზეთი, არის აჭარა, არის დანარჩენი საქართველო, რომელსაც სხვა ერთობლივი სახელი გარდა სიტყვისა „დანარჩენი" დღესდღეობით არ ჰქვია. ამგვარად, თუ მოხდება საქართველოში აფხაზეთისა და აჭარის აღიარება ფედერაციის სუბიექტებად, იძულებულნი ვიქნებით ვთქვათ: „საქართველო არის აფხაზეთის, აჭარის და დანარჩენი საქართველოს ფედერაცია", ხოლო დღევანდელ კონფლიქტს ვუწოდოთ „საქართველოს და აფხაზეთის კონფლიქტი". გამოდის, რომ აფხაზეთი სხვაა და საქართველო - სხვა. მონარქიის პირობებში ეს მიმართება ადვილად გვარდებოდა; საქართველო (ამ შემთხვევაში - დასავლეთი საქართველო, იმერეთი) იყო სამეფო, ხოლო აფხაზეთი - ერთ-ერთი სამთავრო ამ სამეფოში შემავალ სამთავროთა შორის. დღეს ასეთი მწყობრი სისტემის აღდგენა მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება: იქნება ფედერაცია, რომელსაც სახელად ერქმევა „საქართველოს ფედერაცია" ან „საქართველო" და რომელშიც გაერთიანებულნი იქნებიან ამ ფედერაციის სუბიექტები: „აფხაზეთი", „სამეგრელო", „იმერეთი", „გურია, „აჭარა" და ა.შ. (ისტორიული პროვინციების მიხედვით) ან „აფხაზეთი", „ზუგდიდის მხარე", „სენაკის მხარე", „ზემო იმერეთი" („ჭიათურის მხარე"), „ქვემო იმერეთი" („ქუთაისის მხარე"), „ოზურგეთის მხარე", „შიდა ქართლელის მხარე" (იგივე „გორი-ხაშურის მხარე"), „ქვემო ქართლის მხარე" (იგივე „გარდაბან-დმანისის მხარე") და ასე შემდეგ (ისტორიული ტრადიციისაგან განსხვავებით ან მისი ნაწილობრივი უგულებელყოფით), მრავალნაირი შესაძლო ვარიაციებით. ეს ფედერაცია იქნება ან სიმეტრიული (მისი ყველა სუბიექტები, „თბილისის", „რაჭის", „აფხაზეთის" და ა.შ. ჩათვლით, ერთნაირი სტატუსით იქნებიან), ან ასიმეტრიული („აფხაზეთი" იქნება რესპუბლიკა ფართო უფლებებით, „რაჭა" - მხარე მცირე უფლებებით და ა.შ.), რაც სავსებით დააკმაყოფილებს აფხაზ სეპარატისტებსაც და მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრსაც".

ამ გეგმის შეფასება ნიშნავს შემდეგი სამი კითხვის პასუხს:

ა) აქვს თუ არა მას პლუსები?

ბ) ეს პლუსები განხორციელებადია თუ არა, კერძოდ, განხორციელებადია თუ არა ამჟამადვე, მოცემულ პირობებში?

გ) გადაწონის თუ არა პლუსები მინუსებს?

პირველი კითხვის პასუხი ასეთია:

დიახ, ამ გეგმას გარკვეული პლუსი აქვს. კერძოდ, აფხაზეთი თავსდება ფედერაციაში, რომლის სუბიექტები არიან არა „საქართველო" და „აფხაზეთი" (ან „აფხაზეთი", „აჭარა" და „საქართველო"), არამედ „აფხაზეთი", „აჭარა", ესა და ეს მხარეები და „თბილისი" თავისი მიმდგომი მეგაპოლისით, ხოლო „საქართველო" ეწოდება მხოლოდ მათ ყველას ერთობლიობას ფედერაციის სახით. ეს სურათი ჰარმონიულად გამოიყურება უცხო მაყურებლის თვალში და ეს უცხოელი თანდათანობით ეჩვევა მისთვის ახალ ტერმინოლოგიას. იგი აღარ ამბობს „საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობა", არამედ ამბობს „ფედერაციის და მისი ერთ-ერთი სუბიექტის ურთიერთობა".

მეორე კითხვის პასუხი ასეთია:

პლუსი, რომელიც ვახსენეთ, რეალურ განხორციელებას ვერ მიიღებს ან მიიღებს მას მხოლოდ ძალიან მცირე ზომით. მართალია, იმგვარ კონფლიქტში, როგორიც დღეს არსებობს, მხარეებად ჩაითვლებიან „ფედერაციის წევრი" და „ფედერაცია" (ისე როგორც დღეს რუსეთი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ლაპარაკობს არა „რუსეთის ჯარების" მოქმედებაზე ჩეჩნეთში, არამედ „ფედერალური ჯარების" მოქმედებაზე), მაგრამ დროში გარდუვალია, რომ ყურადღების ცენტრში მოექცევა კონფლიქტის შინაარსი, ანუ მაყურებელი გაიცნობიერებს, რომ კონფლიქტი მდგომარეობს ერთი მიწაწყლისთვის ორი ეროვნების (ქართველებისა და აფხაზების) ჭიდილში: ერთ მხარეს დგანან აფხაზები და მათი სახელის მატარებელი ფედერალური სუბიექტი „აფხაზეთი", მეორე მხარეს კი ქართველები და ამავე ფედერაციის ყველა სხვა სუბიექტები ეროვნული ნიშნით, ანუ იგივე „დანარჩენი საქართველო" (მარტივად - „საქართველო"), როგორც ასეთი. ამგვარი სურათის წარმოდგენა შეიცავს იმ ფაქტის მიჩქმალვას, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმით კი არაა დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან და საერთოდ საქართველოსთან, რომ იგი საქართველოს ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტია, არამედ იმითაც, რომ იგი თვითონაც, თავისი ეთნიკური შემადგენლობით, ისტორიული ტოპონიმიკით და ა.შ. საქართველოა. ამავე სურათის გარდუვალი შედეგი იქნება იმ აზრის ამოქმედება, რომ ფედერაცია, როგორც კავშირის ფორმა, ასე თუ ისე მაინც მხარეთა შენათხზების შედეგია და თუ ერთ წევრს კატეგორიულად არ უნდა ფედერაციაში ყოფნა, მას იქ სამარადისოდ ძალით ვერავინ დატოვებს.

გეგმის მეორე პლუსის რაობა იმდენად ცხადია, რომ იგი ზემოთ, პლუსთა ჩამონათვალში არც კი ვახსენეთ. ესაა დაწვრილერთეულებულ დანარჩენ საქართველოსთან აფხაზი სეპარატისტების ნებაყოფლობითი შერიგების შესაძლებლობა. ეს „პლუსი", ცხადია, არარეალიზებადია, ვინაიდან დანარჩენი საქაართველოს ფედერალური მოწყობა არანაირად არ მოხსნის იმ ძირითად ფაქტორს, რომელიც სეპარატიზმს კვებავს - რუსეთიდან ან სხვა დიდი ქვეყნიდან მხარდაჭერას, რომლის გამოც საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის ან საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც მთლიანი და ურიდიულად გამოჩენილი ტერიტორიის, მაქსიმალური დამოუკიდებლობის მოთხოვნა იმის. დანარჩენი საქართველოს მოწყობის ან მისი ნაწილების სახელდების საკითხთან ამ თემას, უბრალოდ, კავშირი არა აქვს.

მესამე კითხვის პასუხია:

საქართველოს სრული ფედერალიზაციის (ანუ „დანარჩენი საქართველოს" ფედერალური დაყოფის) ზემოჩამოთვლილ ფუნდამენტურ მინუსებს დასახელებული უმნიშვნელო (და, ამასთან, დიდწილად ილუზორული) პლუსები ვერ გადაწონის. მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლის პროცესში (საქართველო კი სწორედ ამ პროცესში გახლავთ დღეს) პირველი ამოცანაა *ამ ბრძოლის სუბიექტის - სახელმწიფოდ ორგანიზებული ქართველი ერის* - მაქსიმალური ქმედუნარიანობის (ძლიერების) უზრუნველყოფა, რაც, სხვა პირობებთან ერთად, ამ ერის ემოციურსა და შეგნებისეულ ერთიანობას გულისხმობს თავის წანამძღვრად. მაშასადამე, სახელმწიფოს ორგანიზება, პირველ რიგში, ამ მიზნიდან გამომდინარეობით უნდა მოხდეს. საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა, როგორც დავინახეთ, ამ მიზანს ეწინააღმდეგება. ქართველი ერის ერთობლივი ბრძოლა სპეციფიკურად სტატუსშეცვლილი (სახელდობრ, უსამართლოდ ან არარაციონალურად, ან არაოპტიმალურად და ა.შ. ავტონომიზირებული) ტერიტორიებისათვის სამართლიანი (რაციონალური, ოპტიმალური...) სტატუსის მისანიჭებლად, პირიქით, ერთ-ერთი ის ზოგადეროვნული ამოცანა შეიძლება იყოს, რომლის გარშემოც და რომლის გამოც ერი ერთიანობას აღწევს და ინარჩუნებს (როგორც ზემოთ ვთქვით, გლობალურ ამოცანებს ქართველი ერი დღეს მოწყვეტილია).

*ამგვარად, საქართველოს სრული ფედერალიზაციის მიზანშეწონილების კითხვას მკაფიოდ უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს.*

### VIII. „დანარჩენი" საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალური გზები აფხაზეთის სტატუსის საკითხთან მიმართებაში

მაგრამ რჩება სხვა კითხვა: როგორი უნდა იყოს დანარჩენი საქართველოს ტერიტორიული მოწყობა, მისი ამსახველი და მისი მომსახურე ტერმინოლოგიითურთ, რათა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები დაცულ იქნას? პასუხი (ერთი მრავალ შესაძლებელთაგანი), მე მგონი, რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ა) ჩამორჩენილი შეხედულებაა, თითქოს სახელმწიფოს მართვის დეცენტრალიზაცია ამა თუ იმ მიზეზით ან ამა თუ იმ მოტივით შესაძლებელი იყოს მხოლოდ ფედერაციის ფორმით. არსებობს ავტონომიურობის აუარებელი სხვა ფორმებიც - როგორიც ტერიტორიულ პრინციპზე დამყარებული (მაგ. რეგიონალურზე), ისე ფუნქციურზე (განსაკუთრებული უფლებებით გამოირჩევა არა ტერიტორია, არამედ ჯგუფი. მაგალითად, თვითორგანიზაციის ესა და ეს უფლებები და სახელმწიფოს მართვაში ესა და ეს ხმები ენიჭება ამა და ამ უმცირესობას ამა და ამ პროპორციით).

ბ) არ არის არც საჭიროებული, არც აუცილებელი, რომ ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში არსებულ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ერთეულთა სტატუსს შორის სრული ან თუნდაც ნაწილობრივი სიმეტრია არსებობდეს. შესაბამისად, არაა აუცილებელი, რომ სპეციფიკური სტატუსის მქონე ტერიტორიის გარეთ არსებულ დანარჩენ ტერიტორიას ისეთი სახელწოდება ჰქონდეს, რომელიც კორელაციაში (ურთიერთშეწონილებაში) იქნება სპეციფიკური სტატუსის მქონე ტერიტორიის სახელთან ან დაემთხვევა მას. ასე, მაგალითად, ესპანეთში არსებობს სპეციფიკური სტატუსის მქონე ტერიტორიები, რომლებიც გამოყოფილია ეროვნული ნიშნით, მაგრამ ესპანეთის დანარჩენ ტერიტორიას არ მიენიჭება ამის გამო რაიმე ახალი სახელი.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

1. შეგვიძლია, საქართველოს იმ ნაწილისთვის, რომლის სტატუსსაც ეხება საქმე (ამ შემთხვევაში - აფხაზეთისთვის) სტატუსი განვსაზღვროთ ისე, რომ არ იქნას მხედველობაში მიღებული საქართველოს დანარჩენ ნაწილში არსებული ტერიტორიული მოწყობა. ეს სტატუსი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ადგილობრივი ამოცანებისა და შესაძლებლობების მიხედვით.

2. სპეციფიკური სტატუსის მქონე ტერიტორიებს სახელი უნდა ეწოდოს იმის მხედველობაში მიუღებლად, მეორდება თუ არა იგივე სახელი („რაიონი", „ოლქი", „რესპუბლიკა", „გუბერნია", „სამთავრო" და ა.შ.) ქვეყნის სხვა ტერიტორიების მიმართ. მათ სახელი უნდა შეერჩეთ მხოლოდ იმის მიხედვით, რას მოითხოვს ადგილობრივი ამოცანა და რის საშუალებას იძლევა ადგილობრივი პირობები. ორივე გადაწყვეტილების მიღებაში სიმეტრიის მოთხოვნა არ უნდა ფიგურირებდეს, როგორც არჩევანის შემზღუდველი პირობა.

3. აღნიშნულ პირობებში, საქართველოს ავტონომიზირებული ნაწილისთვისაც და მისი დანარჩენი ნაწილისთვისაც ოფიციალური სახელიც და ნახევრადოფიციალური ან არაოფიციალური სახელიც (ანუ სახელი, რომლითაც იგი ყოველდღიურობაში მოიხსენიება) იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ მასში ჩანდეს ამ ტერიტორიის ქართულობა, რათა არ იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ეს ტერიტორია ეთნიკური საქართველოსადმი მხოლოდ მიერთებული ტერიტორიაა. ეს მიიღწევა (როცა აუცილებელია, და არა სხვა შემთხვევაში) ან დასახელებაში სიტყვა „საქართველოს" ან „ქართულის" ხსენებით ან სხვა რამ საშუალებით. მაგალითად, თუ საქართველოს ტერიტორიულ ნომენკლატურაში ფიგურირებს „რესპუბლიკა აფხაზეთი", მიზანშეწონილია მას ეწოდებოდეს „აფხაზურ-ქართული" (ან ქართულ-აფხაზური) რესპუბლიკა აფხაზეთი". წარმოადგენს თუ არა ამ მოთხოვნის რეალიზაცია ისეთ ინტერესს, რომელიც ღირს იარაღით დაცვად, ეს ისეთი საკითხია, რომელიც ყველა ცალკე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს. მაგრამ ტერმინოლოგიურ საკითხთა ასეთი ჯგუფი რომ არსებობს, უეჭველია.

შესაძლებელია (მრავალ სხვა ვარიანტთა შორის) ამგვარი ტერმინოლოგიის შემოღებაც (ნახევრადოფიციალურად და ოფიციალურადაც კი): „დანარჩენ საქართველოს" ანუ საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც ფედარალიზაცია არ შეეხებია, ეწოდებოდეს „არაავტონომიზირებული საქართველო", ხოლო იმ ნაწილს, რომელსაც იგი შეეხო, „ავტონომიზირებული საქართველო" (ისე როგორც იყო „საბატონო სვანეთი" და „თავისუფალი სვანეთი") და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ზოგი სპეციფიკური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტები მიიღებოდეს ამ ორისათვის ცალ-ცალკე. ეს ხაზს გაუსვამს იმ ფაქტს, რომ ის ავტონომიზირებული ტერიტორიებიც საქართველოა, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამა თუ იმ სახით მოდიფიცირებული საქართველოა. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ცნობიერება მიმართული იქნება ამ განმასხვავებულ ფაქტორთა არა გაღრმავებისკენ, არამედ - რამდენადაც ეს ფაქტორები ზოგადი ნორმისაგან გადახვევად ან რაციონალურ გამონაკლისად ჩაითვლება - მათი დეზაქტუალიზაციისაკენ შესაძლო არასასურველ შედეგთა თვალსაზრისით და მათ ფონზე ზოგადსახელმწიფოებრივი ერთიანობის გაძლიერებისაკენ.

ხაზი მინდა გავუსვა ორ მომენტს. ერთი ის გახლავთ, რომ ზემოგანხილულ საკითხებს სიმწვავე მხოლოდ ეროვნებით არაქართველი მოსახლეობის მყოლ ტერიტორიებთან მიმართებაში აქვთ დღეს ან ექნებათ განჭვრეტად მომავალში. მეორე ის გახლავთ, რომ ეროვნებათაშორის კონფლიქტებს დღეს საქართველოში ფაქტობრივად უკვე რეალიზებული ობიექტური საფუძველი არა აქვთ (ჯერჯერობით საქართველოში ყველანი კარგად ვეტევით. ამ ტერიტორიას შეუძლია რამდენჯერმე უფრო დიდი მოსახლეობა შეინახოს). კონფლიქტების წყაროა *შიში მომავალი ურთიერთშეზღუდვის წინაშე* და ეს შიში მით უფრო სუსტი იქნება, რაც უფრო მკაფიო იქნება უფლებათა და გარანტირებულ პოზიციათა განსაზღვრა კანონის მიერ.

დასასრული იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №40,41,42,43,44,45,47.

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი თენგიზ მაისურაძე





არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლების ღვნამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა

### გრიმი

მახსოვს ერთ-ერთ სპექტაკლში ვთამაშობდი როლს, სადაც აბსოლუტურად მქონდა შეცვლილი სახე გრიმიორის წყალობით. მესვა უამრავი გრიმი, რომლის ჩამობანასაც კარგა ხანს ვანდომებდი.

სპექტაკლი იწყებოდა იმით, რომ მე ხეზე შემომჯდარი ვმღეროდი სიმღერას „რა სცოდნიათ, ამ პაწაწა ნამის ღილებს...“ და შემდეგ შემოდიოდნენ დანარჩენი მსახიობები.

გავიკეთე გრიმი და სირბილით ჩავრბივარ კიბეებზე. ამ დროს დავეტაკე მუშას, რომელსაც მესამე სართულზე რაღაცა ტვირთი აჰქონდა. მუშასთან ერთად ამ ტვირთს გავეხახუნე ლოყით. რაღაცა ვიგრძენი სახეზე, მაგრამ რა, ვერ გავიგე. ერთი სიტყვით, ყურადღება არ მივაქციე, სასწრაფოდ შევვარდი სცენაზე და მოვკალათდი ხეზე. ფარდა ასწიეს, სუსტი სინათლე მომანათეს და მეც დავიწყე სიმღერა.

ამ დროს სცენაზე შემოვიდა ვახტანგ ნინუა, ამომხედა და გადაბჟირდა სიცილით - რას გავხარ ბიჭო, რას?

ეს სიტყვები სცენარში არ ეწერა და გამიკვირდა, ნეტა რა უნდა ჩემგან, ნუთუ ტექსტი დაავიწყდა-მეთქი. სცენაზე შემოვიდა ჩემი პარტნიორი ქალიც, ამომხედა და ისიც ახარხარდა - რას გევხარ ბიჭო, რა გჭირსო.

გამნათებელმა სუსტი სინათლე გამორთო და მთელი სცენა გაანათა. შუქის ანთება და დარბაზის ახარხარება ერთი იყო. მიყურებენ და სიცილით კვდებიან. თურმე მე რომ ტვირთს გავეხეხუნე კიბეებთან, გრიმი სახის მარცხენა მხრიდან გადავიდა მარჯვენივ, გაორმაგდა და აღმომაჩნდა ორი წარბი, ორი ცხვირი, ორი ტუჩი, ერთი სიტყვით სასწაული სანახავი ვიყავი, სწორედ ისეთი, ახლა საშინელებათა ფილმებში რომ აჩვენებენ.

მე როგორღაც ჩავათავე ამ სიცილ-ხარხარში სცენა, გავვარდი საგრიმიოროში, გრიმი თავიდან გავიკეთე და სპექტაკლში შევედი, მაგრამ ჩემს დანახვაზე ხალხი ისევ ფხუკუნებდა.

### ორბორბლიანი ლურჯა

კინოფილმ „ბებერ მეზურნეებში“ ვთამაშობდი და ვამოწმებდი მრიცხველებს. დიალოგებთან ერთად უნდა მესწავლა ველოსიპედის ტარებაც, რაც სახელდახელოდ შემასწავლეს გადასაღებ მოედანზე და დაიწყეს გადაღება.

ველოსიპედი კი დამყავდა როგორღაც, მაგრამ ჩემი უბედურება იმაში იყო, რომ გაჩერება არ ვიცოდი. ფილმში იღებდნენ ერთ-ერთ ეპიზოდს - მეზურნეები თავიანთი ოჯახებით ქეიფობენ, გაშლილია სუფრა და ზედ ნამდვილ კერძებთან ერთად დევს „ცოცხალი“ - მოხარშული თევზი. ამ დროს მე უნდა გამოვჩნდე ველოსიპედით. დაიწყო გადაღება, შემოვაჯექი ჩემს „ლურჯას“ და გავწიე. დავატრიალე პედლები, გავქანდი, დავეჯახე მაგიდას , მთელი ჭურჭელი მივლეწ-მოვლეწე და მშვენიერი სუფრა ერთ წამში გავანადგურე. წამომაყენეს, სუფრა განაახლეს, ისევ შემსვეს ველოსიპედზე და შემდეგი დუბლის გადაღება დაიწყეს. მე ისევ დავატრიალე პედლები და... ისევ ჩავიდინე გმირობა (მანამდე, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ ამიხსნეს თეორიულად, როგორ უნდა გავჩერებულიყავი). მესამეჯერაც იგივე რომ განმეორდა,



უკვე დაფიქრდნენ, აღარც ჭურჭელი ჰქონდათ მეტი და აღარც სუფრაზე დასადები საჭმელი. ამიტომ მომდევნო დუბლი „ეშმაკურად“ გადაიღეს. გამომაჩინეს ველოსიპედით მომავალი და მერე ხელით გამაჩერეს, მხოლოდ ისე, რომ ეს ჩემი „გამჩერებელი“ კადრში არ ჩანდა.

ფილმი გავიდა ეკრანებზე, მნახა ჩემმა გოგონამ და ატირდა - მამიკო შენ თუ ველოსიპედი გქონდა, რატომ არ მაკატავებდიო. ისე გულამოსკვნილი ტიროდა, რომ მთელი დღე ვერ გავაჩერეთ. მეორე დღეს იძულებული გავხდი მაღაზიაში წავსულიყავი და თოჯინა მეყიდა,რადგან ველოსიპედი ძვირი იყო. ჩემი შვილი კი ძლივს დავარწმუნე, რომ თოჯინა ბევრად სჯობდა ველოსიპედს.

### ასეც ხდება

სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია“ ვთამაშობდი ლაითაძეს, გივი ბერიკაშვილი თამაშობდა ჩინჩახელს. მთელი სპექტაკლი ვჩხუბობდით. მე მეორე სართულზე „ვცხოვრობდი“, გივი - პირველზე. მეზობელი შეკლული მყავდა, ვაბრაზებდი, თავზე სიგარეტის ნამწვავებს ვაყრიდი და სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე ნერვები ამეშალა მისთვის.

ერთ სცენაში გივის შერიგების მიზნით ვეუბნები:

- წამოდი, ბიჭო, ჩემთან, ღვინოს დაგალევინებ. ის კი მლანძღავს, „მკბენს“ და მპასუხობს - შენთან ღვინოს რა დამალევინებს, წადი, გამეცალეო.

მიდის სპექტაკლი, მე ისევ „ვხულიგნობ“, გივის ვალიზიანებ. დადგა დრო, უნდა ვუთხრა ღვინოსთან დაკავშირებით ის ფრაზა და მე ვამბობ:

- ჩემმა მეგობრებმა სოფლიდან მწვანავის მაჟნე ჩამომიტანეს და წამო დავლიოთ-მეთქი (მანავის მწვანის მაგივრად). გივი დამეჯღანა და მეუბნება:

- მაჟნე ხარ, მაჟნე შენი, შენთან ღვინოს რა დამალევინებსო და გააგრძელა ჩემი ლანძღვა.

### სეირნობა მატარებლით

მარჯანიშვილის თეატრი მიდიოდა ბათუმში გასტროლებზე. მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ წასვლისას დაგველია თითო ჭიქა. ამ თითოს კიდევ მოყვა რამდენიმე და მაგრად „გაწვიმდა“. კარგად შექეიფიანებულები ჩემოდნებით გამოვცხადდით ბაქანზე. ბათუმის მატარებელთან ერთად გადიოდა მოსკოვის მატარებელიც, მეორე ლიანდაგიდან. განსხვავება რაღაცა წუთებში იყო.

ჩვენ დინჯად, შენელებული კადრებივით ავლოლდით მატარებელში, მივაგენით კუპეს და დავჯექით, თან ვლაპარაკობთ. არა და „კაი მდგომარეობაში ვართ“, ერთი სული გვაქვს, თავი რამეზე დავდოთ და დავიძინოთ. მატარებელი დაიძრა და წავედით. გზაში რამდენიმე კაცი ამოვიდა, მოგვადგნენ, ეს ჩვენი ადგილებიაო და ბილეთებს გვაჩვენებენ. ზუსტად იგივე ნომრები აქვთ, რაც ჩვენ. გაუგებრობას აქვს ადგილიო და გამცილებელს დავუძახეთ. შემოვიდა რუსი გოგონა (წამიერად ერთმა ფიქრმა გამიელვა თავში, ბათუმის მატარებელში რა უნდა რუსს-მეთქი, მაგრამ ფიქრი ვერ დავამთავრე).

- სად მიდიხართო - გვეკითხება რუსულად.

- როგორ თუ სად, ბათუმში მივდივართ გასტროლებზე! - ვპასუხობთ ჩვენ.

- ეს მოსკოვის მატარებელია, ბათუმი თხუთმეტ წუთში გადის - გვეუბნება.

- რა გვეშველება ახლა ჩვენ - კითხულობს შეწუხებული ჩემი მეგობარი.

- რა გეშველებათ და ჩადით მცხეთაში. თქვენი მატარებელი გაჩერდება და ბათუმში ის ჩაგაბრძანებთ! - დაგვარიგა ჭკუა გამცილებელმა.

მომენტალურად გამოვფხიზლდით, ვტაცეთ ხელი ჩემოდნებს და სულ კისრისმტვრევით ჩავცვივდით მცხეთაში. დაველოდეთ ბათუმის მატარებელს და ვაგონში ავედით გაწითლებულები, აქოშინებულები, ოფლი ჩამოგვდიოდა სახეზე წურწურით. მეგობრებმა რომ დაგვინახეს, გაიკვირვეს, კი მაგრამ სად იყავით, რომ არ ჩანდითო.

- აგერ ვიყავით გვერდით ვაგონში გადასულები, პატარა საქმე გვქონდაო, - ვუთხარით და დიდი სერიოზულობით დავიკავეთ ჩვენი ადგილები.

მთელი გზა მე და ჩემი მეგობარი კონდუქტორს ვლოცავდით „ოპერატიული მოქმედებისათვის“ და ჭკვიანური აზრის მოწოდებისათვის. ის რომ არ ყოფილიყო, ბახუსის მდგომარეობაში ვერაფერს მოვიფიქრებდით და თანაც ნამეტანი კარგ გასტროლებს ჩავატარებდით ორი კაცი მოსკოვში.

### ორი ედიშერი

მე და ედიშერ მაღალაშვილი ვთამაშობდით ერთ-ერთ პიესაში და ტყუპისცალებივით ვგავდით ერთმანეთს, რადგანაც გრიმი მქონდა გაკეთებული. ჩვენ გვყავდა საერთო მეგობარი,



რომელთანაც ხშირად ვქეიფობდით. ერთხელაც მან მოაკითხა ედიშერს თეატრში. ჩვენი საგრიმიოროები გვერდი-გვერდ იყო. სანამ მასთან მივიდოდა, ჩემს ოთახში შემოიხედა. სპექტაკლი დამთავრებული იყო და მე სარკესთან ვიჯექი, გრიმი უნდა მომეშორებინა. მან დამინახა, მოვიდა და სახეგაბადრული მეუბნება:

- ვა, ედიშერ, კარგია რომ მოგისწარი, ჩქარა გამოიცვალე, საქეიფოდ უნდა წავიდეთ! - თან მიყვება, ესენი იქნებიან, ისინი იქნებიან, ქალები და ამბები... ერთი სიტყვით, კაი-კაი რაღაცეები ჩამიკაკლა,მთელი „საიდუმლოებები გახსნა“ და ამ დროს მე გადავბჟირდი.

- რა გჭირსო, - მეკითხება

- რა და, ედიშერი არ ვარ-მეთქი.

ჩვენი ლაპარაკი გაიგო ედიშერმა და შემოიხედა. მან მიიხედა მისკენ და გაშტერდა. ხან მე მიყურებს, ხან მას. მერე ნერწყვი გადაყლაპა და თვალებდაქაჩული - ვინ ხარ შენო - ეკითხება ედიშერს.

- ედიშერიო - პასუხობს ის.

კაცმა კიდევ ჩაყლაპა ნერწყვი და ცალყბად იკითხა:

- აბა ეს ვინ არისო - ჩემზე.

- მე თენგო ვარ-მეთქი.

ისევ, ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. ჩემი ვინაობის დასადასტურებლად სასწრაფოდ გრიმი ჩამოვირეცხე და მე მე გავხდი.

ედიშერი კი ხუმრობით განაწყენდა მეგობარზე - ბიჭო, რევები უთხარი, რომ მოაღე პირი და იჭიკჭიკე, ეხლა მაგის ენა გაჩუმდებაო?!

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, სამივენი ერთად წავედით საქეიფოდ და კარგი დროც გავატარეთ.

### ხერხი სჯობია ღონესა

მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“, სადაც ერთ-ერთ როლს ვთამაშობდი.

თეატრში ყველა სპექტაკლის ტანსაცმელი რაღაცა პერიოდის შემდეგ მიაქვთ და რეცხავენ. მონაწილე მამაკაცებს გვეცვა რეიტუზები, რა თქმა უნდა, ყველას ჩვენ-ჩვენი ზომა. სპექტაკლის წინ დაგვირიგეს გასუფთავებული ტანსაცმელი და ვემზადებით სცენაზე გასასვლელად.

მე გადმოვიღე ჩემი რეიტუზი, ჩავიცვი და რას ვხედავ, ერთი ზომით კი არა, ოთხი ზომით მაქვს დიდი. ავედი მაშინვე ჩვენს ჩამცმელთან და ვეკითხები - რა არის ეს-მეთქი და ავაფრიალე რეიტუზი.

- რა ვიცი, რაც დამიბრუნეს, ის მოგიტანეო - მითხრა მან.

გადავირიე, ამხელა რეიტუზი ნეტა ვის აცვია ჩვენს თეატრში-მეთქი. მოგვიანებით გამახსენდა, რომ იგი ერთ-ერთ მსახიობს ეკუთვნოდა, რომელიც იცვამდა ის „ტალშინკას“ - ეს გახლდათ ფეხებზე და მუცელზე შეკერილი სპეციალური „დამატებები“, რომლებიც ტანს ასქელებდნენ. ვატრიალებ ამ რეიტუზს წინ და უკან, გამოცვლა უკვე გვიანია, რადგან სცენაზე გასვლის დროა და არ ვიცი, რა ვქნა. ჩავიცვი და გავედი, მაგრამ ხელით მიჭირავს რეიტუზი და ერთი სული მაქვს, არ ჩამძვრეს. ყველაზე დიდი კურიოზი კი ის არის, რომ ჩემს გასვლას და რამოდენიმე წინადადებას თან უნდა მოეყოლო ცეკვა და ხტუნვა.

როგორ უნდა ავცეკვდე ოთხი ზომით დიდ რეიტუზში - ვფიქრობ მე. ხომ ჩამძვრა და შევრცხვი ამხელა კაცი მაყურებლის წინაშე. არა და სცენას ხომ ვერ შევცვლი. მასხამს სიმწრის ოფლი. უცებ სცენაზე დავინახე სკამი. გავექანე და დავჯექი ზედ, თან რეიტუზი „სათუთად“ ამოვიკეცე და ფართე ადგილები დავმალე. სცენაზე შემოვიდნენ მსახიობები და დაიწყეს ცეკვა. ატყდა ფეხების ბაკუნი, ხმაური, ჩემი გაჩერებაც არ შეიძლება. ჰოდა, არც ვაციე, არც ვაცხელე, სკამს გვერდებზე ჩავჭიდე ხელები, ისე, რომ რეიტუზისთვის ხელი არ გამიშვია და დავიწყე სკამიანად ხტუნაობა და ცეკვა. ერთი სიტყვით, სცენაზე ატეხილ ბრაგუნსა და ბაკუნს მეც შევუერთდი და ამის შემხედვარე დარბაზი კინაღამ სიცილით გაიგუდა. კულისებში რომ გავედი, ხალხი კიდევ დიდხანს ხარხარებდა.

რეჟისორმა ეს ჩემი „ნომერი“ ძალიან მოიწონა და მომდევნო სპექტაკლში, ამჯერად უკვე ჩემს რეიტუზში, მიწევდა სკამზე ხტუნაობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




## „ღმერთო, ჩვენს ერს აუსრულე, რაც სნადიან ამირანსა“ ანუ აღსარება, ვედრება და საგოდებელი მელექსისა

წავიკითხე მოხევე პოეტის იორამ ღუდუშაურის მძაფრი სულიერი აღტკინებით დაწერილი პატარა წიგნი, გამოცემული 1996 წელს (ქ.გორი. 500 ტირაჟით, 92 გვერდი). რადგან იგი უსათაუროა, – მე მას ვუწოდე: „ვედრება და გოდება სამშობლოს ხვალინდელი დღისა“.

მე, როგორც ყოფილმა ალპინისტმა, ავტორთან ერთად შემოვიარე დარიალანი და მის ირგვლივ მიუვალი, ზოგჯერ დღესაც ფეხდაუდგმელი, ადგილი – საჯიხვეთანი. ავტორმა, როგორც გამოცდილმა მონადირემ და მუზეუმის მუშაკმა, „მომანახულებია“ ისტორიული ადგილებიც, რომლებიც ეგზომ იზიდავდა წმინდა ილია მართალს (ი.ჭავჭავაძეს).

სახელოვანი გვარის წარმომადგენელს, – ავტორს ამ შესანიშნავი ლექსების კრებულისათვის ნაწერში მარად წინ მოუძღვის ადამიანის მარადიული სიბრძნე სიკეთისა და სიყვარულისა. ამიტომაცაა იგი მკაცრი, შეუპოვარი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში; თითქმის ყოველთვის თრგუნავს და ამარცხებს სამშობლოს მოღალატეებს, ურწმუნოთა და უწმინდურთ; ვერ ეგუება პირმოთნეობას, ფარისევლებს, მედროვეებს. პოემებში „ბედი-უბედოთა“, „ფარული ცეცხლი“ მეტად გონივრულადაა წარმოდგენილი ადამიანის ყოფნა-არყოფნის ისტორია.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, კომენტარების გარეშე, მოვიტან ლექსებიდან ზოგიერთ ამონაწერებს: „სად ქმნილა ბრძოლის გარეშე სრულყოფა სიცოცხლისაო?!“ („ძმანო ერისთვის შობილნო“). იქ, სადაც ადრე იდგა ზაფხული – სამშობლოსათვის გმირთ ზრდიდა დედა, დღეს, როგორც ქართველს, მიკვდება გული, რომ სოფლის ნაცვლად ნასოფლარს ეხედავ“ („გოდება“). „ყორანსაც, დახე, სცოდნია გლოვა, ჩვენ რაღა მოგვდის მოდგმით ადამის?! („ორი ყორანი“). „ენც მტერს ებრძოდა, გრგვინავდა, ქვეყნად რომ არვის მონობდა, – თავს რისთვის, ვისთვის წირავდა, იმას არავინ ჰგონებდა“ („ჯიქი“ – მიძღვნილი ალექსანდრე ყაზბეგისადმი).

– იორამ ღუდუშაურის გასაცნობად იმ სამყაროს უნდა ესტუმრო, სადაც იგი ცხოვრობს და, ცოტა ხანს მაინც, მასთან და მასავით იცხოვრო. ეს სამყარო მარტო მთების უბეში შეჰყურულ[...] სოფელი სნო კი არ არის, არც მისი პატარა სახლია, ხელისგულისოდენა ბაღჩა და საფუტკრე, არც ჭიუხებია და მარტო ნისლებშემოხვეული მთები და მყინვარი, ხშირად რომ ეწვევა ხოლმე და, თუ იქ არ არის, გული მოუწევს. ეს სამყარო იორამ ღუდუშაურის საქართველოა, წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ბუნებითა და ადამიანებით, სამკალითა და სალოცავებით“. ამ სიტყვებით გვაფრთხილებს წიგნის რედაქტორი ბატონი პაატა ჩხეიძე და... ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩვენ ვესტუმროთ ხევს და დაბრუნებისას მივაწოდოთ მკითხველს ვრცელი წერილი ამ ზღაპრული მხარისა და იქ, ალექსანდრე ყაზბეგივით მთებსშეხიზნული ადამიანის პოეტურ სამყაროზე ყველაფერი ეს ხომ მიზეზთა მიზეზია იორამ ღუდუშაურის შესანიშნავი ლექსების დაბადებისა.

**ვახტანგ გურგენიძე**

# ქარის წისქვილი

## ორიოდ სიტყვა ჯორჯ სოროსის ესსესა გამო

ცნობილი მილიონერისა და ქველმოქმედის, ჯორჯ სოროსის მოღვაწეობა ღია საზოგადოების იდეალების დასამკვიდრებლად მთელ მსოფლიოში, კარგადაა ცნობილი. ესაა დეიდეოლოგიზირებული საზოგადოება, სადაც სახელმწიფო არ აფუძნებს აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე დოგმატებს, "ღია საზოგადოებაში თითოეულ მოქალაქეს არა მხოლოდ უფლება აქვს თავად იფიქროს თავისი თავის სანაცვალოდ, არამედ კიდევაც მოეთხოვება ეს", - წერს ჯორჯ სოროსი თავის ახალ ესსეში "კაპიტალიზმის საფრთხე".

დღეს, როცა კომუნისტური ტოტალიტარიზმის კრახი უკვე ისტორიული ფაქტია, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა უშლის ხელს ღია საზოგადოების ტრიუმფალურ სვლას? 80-იანი წლების მიწურულს, ამერიკელმა ფრენსის ფუკუიამამ "ისტორიის დასასრულის", ანუ ლიბერალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების დიაგნოზი დასვა. მისი აზრით, იდეების სფეროში ლიბერალიზმმა დაამარცხა ყველა კონკურენტი და ლიბერალურ ღირებულებათა საყოველთაო დამკვიდრება მხოლოდ დროის საკითხია.

თუ ამ მოსაზრებას დავეთანხმებით, მაშინ ღია საზოგადოების აშენების პრობლემა წმინდა ტექნიკურ პრობლემებამდე დაიყვანება. ლიბერალიზმი ხომ ის ერთადერთი მსოფლმხედველობრივი საძირკველია, რაზეც შეიძლება დაფუძნდეს ღია საზოგადოება, მაგრამ ჯორჯ სოროსი დარწმუნებულია, რომ "უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა" ჯერ კიდევ წინაა. კომუნიზმის დამხობის შემდეგ გამოჩნდა "ახალი მტერი" (სოროსისეული ფორმულირებაა) - კაპიტალიზმი. უფრო ზუსტად, laissez-faire-ის* ტიპის კაპიტალიზმი, "საბაზრო ფასეულობების გავრცელება ცხოვრების ყველა სფეროში."

არსებითად, ზემოთ აღნიშნულ ესსეში ჯორჯ სოროსი გამოდის ეკონომიკური ლიბერალიზმის წინააღმდეგ. რასაკვირველია, მას მშვენივრად ესმის, რომ laissez-faire კაპიტალიზმი სხვაა, კომუნიზმი და ნაციზმი კი სულ სხვა; იმასაც აღნიშნავს, laissez-faire-ის ერთ-ერთი მოციქული, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი, იმავე დროს, ღია საზოგადოების მგზნებარე დამცველიც იყო, მაგრამ სოროსის აზრით: "დღეს საფრთხე laissez-faire-ის მხრიდან გაცილებით მეტია, ვიდრე ტოტალიტარული იდეოლოგიების მხრიდან". ეს საფრთხე შეიძლება ბლეზ პასკალის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზით გადმოიცეს: სამართლიანობა საკამათოა, ძალა კი ადვილად დასანახი და რახან ძალიან ძნელია სამართლიანი გახადო ძლიერი, ამიტომ ძლიერი გამოაცხადეს სამართლიანად.

ჯორჯ სოროსს ძლიერის სამართლიანად გამოცხადების მაგალითებიც მოჰყავს. "დასავლეთის ღია საზოგადოებებს არ გამოუჩენიათ დიდი ინტერესი ყოფილი საბჭოთა იმპერიის ღია საზოგადოებების მიმართ, - წერს სოროსი, - უმრავლესობა იმ აზრს იზიარებდა, რომ ადამიანებმა თავად უნდა მიხედონ თავიანთ საქმეებს. ახალი "მარშალის გეგმის" შესახებ საკითხი, უბრალოდ არც დასმულა. როდესაც 1989 წ. გაზაფხულზე პოტსდამის კონფერენციაზე შევეცადე ამგვარი იდეა წამომეწია წინ, მე, უბრალოდ სიცილი დამაყარეს."

ამგვარი დამოკიდებულების მთავარ მიზეზად "კაპიტალიზმის საფრთხეში" სწორედ laissez-faire პრინციპია მიჩნეული. ამ კონტექსტში განიხილება "ეროვნული ინტერესების" ცნება, რაც პრაქტიკულად გაიგივებულია "სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის" უკვდავ დოქტრინასთან. სოროსის აზრით, "გაიმარჯვოს უძლიერესმა" არა მხოლოდ უსამართლო პრინციპია, არამედ მას სრულიად უმართებულოდ აქვს მორგებული მეცნიერული სამოსელი. კერძოდ, ეკონომიკაში მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის თეორია აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგშია აყვანილი, რაც ეწინააღმდეგება ღია საზოგადოების იდეას (ეს უკანასკნელი აღიარებს, რომ ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ მუდამ არასრულია). საბაზრო ურთიერთობები უნივერსალურ რეგულატორადაა აღიარებული, რაც, მისი თქმით, არა მარტო არასწორია, არამედ სახიფათოც. "დღეს, ღია საზოგადოებას რაიმე საფრთხე გარედან, მსოფლიოს ბატონობაზე მეოცნებე ტოტალიტარული იდეოლოგიიდან უკვე აღარ ემუქრება, აცხადებს სოროსი, - საფრთხე ახლა შიგნიდან, ადგილობრივი ტირანებიდან მომდინარეობს."

მაგრამ აქვე ბუნებრივად ისმის კითხვა: რანაირად შეიძლება ამ საფრთხის აცილება? მართლაც მარტივი კითხვაა. რომელსაც ასევე მარტივი პასუხი შეიძლება გაეცეს: იმ ქვეყანაში, სადაც ავტორიტარული რეჟიმია, "ადგილობრივი ტირანი", რა თქმა უნდა, არ დაუშვებს პოლიტიკური ოპოზიციის მომძლავრებას, ამიტომ რეალური ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გარედან ზემოქმედების გზით, იქნება ეს ეკონომიკური სანქციები თუ პირდაპირი სამხედრო ჩარევა. მაგრამ თავი რომ დავანებოთ "სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევასა" და სხვა ამდაგვარ უხერხულობებს, აქ კიდევ ერთი შეკითხვაც ჩნდება: იტვირთებენ კი აშშ და დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნები *ყოვლადსამართლიანი* მსოფლიო ჟანდარმის ფუნქციას? აქ მთავარი პრობლემა სწორედ *სამართლიანობაა* და არა მსოფლიო ჟანდარმობა. ჯორჯ სოროსი აკრიტიკებს გეოპოლიტიკას და მას "ცრუმეცნიერებას" უწოდებს, მაგრამ მოგვწონს ეს თუ არა, გეოპოლიტიკური ინტერესები ის რეალობაა, რომელიც არსებობს მას შემდეგ, რაც დედამიწაზე პირველი სახელმწიფოები გაჩნდნენ. არსებითად, სოროსის ერთადერთი არგუმენტი გეოპოლიტიკის წინააღმდეგ ისაა, რომ გეოპოლიტიკოსები ვერ პასუხობენ კითხვას: რა ხდება როცა სახელმწიფო იშლება? თავს უფლებას მივცემთ, არ გავიზიაროთ ეს არგუმენტი, რამდენადაც აქ მარტივი პასუხია: რა ხდება და იქმნება ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, ინტერესთა შესაბამისი გადათამაშებით! გეოპოლიტიკური ინტერესები სულაც არ არის რაღაც მარადიული ფასეულობები, იგი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ცვლილება ერთია და არარსებობა მეორე. მთელი მსოფლიო ისტორია იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ სახელმწიფოები სწორედ გეოპოლიტიკური ინტერესებით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე ნებისმიერი სხვა დოქტრინალური იდეებით თუ იდეალებით. მაგალითად, გერმანია და საფრანგეთი ყოველთვის გეოპოლიტიკური კონკურენტები იყვნენ და ახლაც არიან, უბრალოდ, კონკურენციის ფორმა უფრო ცივილური გახდა.

მაგრამ თუ გეოპოლიტიკური ინტერესები რეალობაა (და ეს ასეა), მაშინ პოლიტიკაში აუცილებლად მოქმედებს ორმაგი სტანდარტი. ამის მაგალითები უამრავია: ვთქვათ, აშშ-ს დამოკიდებულება ერაყისა და პაკისტანის მიმართ, კვიპროსის საკითხი, კონფლიქტი აფხაზეთში (საქართველო) და ა. შ. სიტყვა თქმული ლინდონ ჯონსონის მიერ დომინიკანელი დიქტატორის, ტრუხილიოს მისამართით: "ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალა", სამწუხაროდ დღესაც იმ რეალობის მაჩვენებელია, რომელიც გარეპოლიტიკურ ურთიერთობებში არსებობს და კაცმა არ იცის კიდევ რამდენ ხანს იარსებებს.

ჯორჯ სოროსი ლაპარაკობს "ახალ მსოფლიო წესრიგზე", დემოკრატიული სახელმწიფოების ძლევამოსილ ალიანსზე, "რომელიც ღია საზოგადოების იდეების ერთგული იქნება და აღკვეთს მისი პრინციპების აშკარა დარღვევის ყოველგვარ მცდელობას". ამისთვის კი მას აუცილებლად მიაჩნია lassez-faire-ის იდეოლოგიის უარყოფა, რომელიც "არ ცნობს მსოფლიო წესრიგის საჭიროებას". სოროსი გეოპოლიტიკას აღიქვამს, როგორც lassez-faire-ს გარეპოლიტიკურ ასპექტს და მას სოციალურ დარვინიზმთან აკავშირებს. მაგრამ, ასეთი დაკავშირება, ცოტა არ იყოს, ხელოვნურია. ჯერ ერთი, lassez-faire პრინციპია და არა იდეოლოგია. არსებითად იგი გულისხმობს მხოლოდ ერთს: რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატი ეკონომიკურ ურთიერთობებში, მით უკეთესი საზოგადოებისთვის და თვით სახელმწიფოსთვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც კლასიკური ლიბერალიზმის, ისე თანამედროვე ნეოლიბერალიზმის ეკონომიკურ თეორიებს, გულისხმობს მხოლოდ ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოს და არავითარ შემთხვევაში არ ეხება საერთაშორისო ურთიერთობებს. გლობალურ (მით უმეტეს გარეპოლიტიკურ) ასპექტში lassez-faire საერთოდ არ "მუშაობს", იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი სულ სხვა ოპერიდანაა. შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობათა კატეგორიის ხელოვნური გლობალიზაცია ელემენტარულად ამახინჯებს თვით ამ კატეგორიის არსს და უმართებულოდ წარმოსახავს მას საფრთხობელად, ასე, რომ გალაშქრება lasser-faire-ის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა ქარის წისქვილებთან ბრძოლა.

lasser-faire პრინციპის წარმოდგენა ღია საზოგადოების "მტრად" შესაძლოა ძლიერ საზიანო გამოდგეს თვით ღია საზოგადოების იდეის დამკვიდრებისთვის იმ ქვეყნებში, რომელთა მიმართ საყოველთაო გულგრილობაზე ასე გულწრფელად და სამართლიანად წუხს ჯორჯ სოროსი. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხომ ყველაზე დიდი პრობლემა თავისუფალი კონკურენტული გარემოს არარსებობა, ბიუროკრატიულ მოხელეთა მაფიოზურ კლანებთან ალიანსი და ათასგვარი მაკონტროლებელი ორგანოებით დამოუკიდებელი ინიციატივის ჩახშობაა. თუკი შეიძლება იყოს ლაპარაკი ამ პროცესებში დემოკრატიული დასავლეთის გარედან ჩარევაზე, ეს პირველ რიგში სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის შეზღუდვის მოთხოვნაში უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფოს არ შეუძლია ყველა გააბედნიეროს, მან მხოლოდ უნდა უზრუნველყოს თანაბარი სასტარტო პირობები ყველასთვის. ეს კი სწორედ lasser-faire პრინციპის უმთავრესი მოთხოვნა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ lasser-faire ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ღია საზოგადოებისთვის. იქ, სადაც ეს პრინციპი თუნდაც მეტ-ნაკლებად არ მოქმედებს, ღია საზოგადოების ნასახიც არ არის და არც შეიძლება იყოს.

ასე, რომ "ახალი მტერი" სინამდვილეში "ძველი მოყვარეა." და როცა ღია საზოგადოებისთვის ისეთი დაუცხრომელი მოღვაწე, როგორიც ჯორჯ სოროსია, lasser-faire-ის წინააღმდეგ გამოდის, ამით იგი საკუთარ თავს ებრძვის. ჩვენის მხრივ, ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნებდეთ, რომ ბრძოლა საკუთარ თავთან ყველაზე ძნელია და იგი იშვიათად მთავრდება გამარჯვებით.

**გია ჭუმბურიძე**

* ფრ. „მიეცი უფლება აკეთოს“. აღნიშნავს სახელმწიფოსგან მეწარმის თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს საქართველოა



სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი — გულადი, შურადი, მებრძოლი შავი ბედისა.
ავთა დროთ ვერა შესთვალეს მის გული ანდამატისა...
(გრ. ორბელიანი)

**თარაზულად:** 1. მხარე აღმ.საქართველოში მდ. ივრის ზემოთის ზეგანზე. თიანეთთან შეწყვილებულად იხსენიებენ ისტორიულად; 5. მდ. დას. საქართველოში, ერთვის მდ. რიონს სოფ.ვარციხესთან; 7. მე-18-19 ს.-ების ცნობილი ქართველი მწიგნობარი და კალიგრაფი, ბესიკის ძმა; 9. სოფ.ჩრდილო იმერეთის მთისწინეთში მდ. წყალწითელას მარცხ.მხარეს, ცნობილია ისტორიული ღირებულებებით; 11. სოფ.ახალციხის რ-ში, ახალციხის ქვაბულში; 14. საბრძოლო შინაარსის, საფერხულო წყობის უძ. ქართული ხალხური ცეკვა; 16. უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის სამხრ.განშტოების შდავლერის ქედზე; 19. კმაყოფილების გრძნობა (აკაკის ლექსიკაში გვხვდება, „სევდას" უპირისპირებს); 20. თეთრ, წმინდა ლავაშებს ასე უწოდებენ, უფრო იმერეთში (აკაკის ლექსიკაშია); 21. სოფ.დუშეთის რ-ში, მდ. ხევსურეთის არაგვის მარცხენა მხარეს; 22. ძველ საქართველოში ხელისუფლებისადმი მიმართული თხოვნა სამართლის ან წყალობის მისაღებად; 23. მონათვლის ცერემონიალი; 24. ქართველი ერის უპირველესი ჰუმანისტი პოეტი მე-12 საუკუნისა; 27. გალიის მსგავსი მახე ჩიტისა (გურამიშვილის ლექსიკაში გვხვდება); 28. უპირველესი ქართული კერძი; 30. კისერზე მოსადებ ბეწვს ასე უწოდებენ დასავლ. საქართველოში; 32. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 34. სოფ. მცხეთის რ-ში, თბილისის დასავლეთით; 38. სოფ. გურჯაანის რ-ში, გომბორის ქედის ჩრდ. აღმ. კალთის მთისწინეთისა და ალაზნის ვაკის მიჯნაზე; 40. ვაზის სარი; 41. სოფ. ცაგერის რ-ში, მდ. ლაჯანურის ხეობაში; 43. სოფ. ოზურგეთის რ-ში, მდ. აჭის წყალზე; 45. სოფ.გუდაუთის რ-ში, მდ. ბალკანოვკას მარცხ. ნაპირზე; 46. გურულ მაყრულ, საგმირო, ისტორიულ სიმღერებში თავისებურად მიმოქცეული მაღალი ხმა; 48. თბილისის ძველი უბანი მტკვრის სანაპიროზე; 49. მსოფლიოში ცნობილი თვითნასწავლი ქართველი მხატვარი; 50. სოფ.საჩხერის რ-ში, ჭიათურის პლატოზე, მდ. ფრონის სათავეში; 51. ძირითადი ნიშანი, რითაც ხმალი „გორდა" განსხვავდება სხვა ხმლებისაგან; 54. სოფ. კასპის რ-ში, ჯავახიშვილების სამკვიდრო; 55. მთა თუშეთში მაკრატლას ქედის შუა მონაკვეთის თხემზე, მდ-ების თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის წყალგამყოფზე; 57. მშვიდი, გაბმული საუბარი; 58. ქართველი ფერმწერი, ფილმში ფიროსმანის როლის შემსრულებელი; 61. ჩვენი დროის, აწ გარდაცვლილი პოპულარული ლირიკოსი მომღერალი, სიმღერების ავტორი ქალი; 63. ქართ. ხუროთმოძღვრ. ძეგლი. გუმბათოვანი ტაძარი რაჭაში. მას ხოტბა შეასხა გალაკტიონმა; 64. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი; 66. ერთ-ერთი ყველაზე დიდი კათედრალი საქართველოში, კახეთში, ალაზნის ველზე; 69. ერთგვარი სათამაშოა, ორ მოთამაშეს შორის მოგებაზე დამყარებული. მამაკაცები ხშირად გაბმულ დღეს ატარებენ მის თამაშში; 70. ნაყოფით დახუნძლული შტო; 72. სოფ.ამბროლაურის რ-ში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე; 73. დიდი გარეული ფრინველი, მის სახეს მხატვრულად იყენებენ აკაკი, გრიშაშვილი; 74. ქედი კავკასიონის ჩრდ. აღმ. ნაწილში ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის საზღვ-ზე; 76. დაბა საქ.სამხ. მთიანეთში, მდ. მაშავერას ორივე ნაპირზე; 78. სოფ.გორის რ-ში, მდ.პატარა ლიახვის მარჯვ. ნაპირზე; 79. ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი სენაკის რ-ში; 80. შექსპირის ნაწარმოების გმირი, რომლის სახეც განსაკუთრებული წარმატებით გამოხატა აკაკი ვასაძემ; 81. ქართ. კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, ეროვნ. საკომპოზიც. სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი; 82. ცნობილი ქართველი მწერლის სახელი, რომელმაც ჩვენს საუკუნეში არაერთი დრამატული ნაწარმოებიც შექმნა; 83. თბილისის ძველი უბანი მახათის მთის ფერდობზე, კიბალჩიჩის ხევის მარჯვნივ; 86. სოფ. ხობის რ-ში, ურთის მთის სამხ. დასავლ. კალთის ძირას; 87. სოფ. მესტიის რ-ში, ჩხუნდერის ქედის სამხ. კალთაზე, ენგურის მარჯ. მხარეს; 88. სახელი მე-19 ს-ის ცნობილი მწერლის და საზოგ. მოღვაწისა. მის სახელს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული თარგმანი ფრანგულ ენაზე; 89. სოფ. დუშეთის რ-ში, ალევის ქდ-ის სამხრეთ დაბოლოებაზე, ქსნის ხეობაში; 91. მე-11 საუკუნის ქართ. ხუროთმოძღვ. ძეგლი მცხეთაში, საპატრიარქო ტაძარი; 94. სახელი მე-20 ს-ის ცნობილი ქართ. პოეტისა. იყო საქ. მწერ. კავშირის პირველი მდივანი; 97. სოფ. ბაღდათის რ-ში, მდ. კორისწყლის ნაპირზე; 98. უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი ქართულში; 101. მაღალი ღირებულების ბუნებრივად ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო. მიიღება ყურძნის ჯიშისაგან „ალექსანდროული", მისი მაღალი შაქრიანობის შემთხვევაში; 104. სუბტროპ. კულტურა, რომლის წარმატებით განვითარებას ჩვენში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის; 105. გალაქტიონის სატრფიალო თემაზე შექმნილი, ღრმა ლირიული განცდების შემცველი ნაწარმოები; 109. დასავლეთ საქ-ში ასე უწოდებენ კომშს; 110. ქალაქი ახალციხის რ-ში, მდ. ფოცხოვის მარჯვ. ნაპირზე, ერუშეთის ქედის სუსტად დახრილ ჩრდ. კალთაზე; 115. სოფ. ახალქალაქის რ-ში, ახალქალაქის პლატოზე; 117. სუფრასთან დროსტარება, რომელსაც ჩვენი წინაპრები ხშირად მიეცემოდნენ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ; 120. ქართველების, განსაკუთრებით მეგრელების საყვარელი საკვები. ხშირად პურის მაგიერ მიირთმევენ; 123. სოფ. დუშეთის რ-ში, ფშავის არაგვის ხეობაში, მარცხენა მხარეს; 124. პირველი ქართ. მოჭადრაკე ქალი, რომელმაც მსოფლიო პირველობა დაიმკვიდრა; 126. ქ.რუსთავში განლაგებული საწარმოო გაერთიანების სახელწოდება; 127. პიროვნება, ვინც ქართულ ცეკვას მსოფლიოში გაუთქვა სახელი; 130. დაბა დუშეთის რ-ში, მდ.—ების გუდამაყრის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავთან, საქ.სამხედრო გზაზე; 131. სოფ. თელავის რ-ში, გომბორის ქდ-ს ჩრდ.აღმ.კალთაზე, მის მიდამოებში არაერთი ისტორიული ღირებულების ნაგებობაა; 133. სოფ. გარდაბნის რ-ში, სადაც ამაღლების დღეს იმართებოდა ქრისტიანული დღესასწაული წმ. გიორგის ეკლესიის კარზე; 137. გადაზელილი ყველი, რაც დიდ მოწონებას იმსახურებს არაქართველებშიც; 138. სას.სამეურნეო სამუშაო, მოსავლის აღება, როცა მწიფე მარცვლეულის (პარკოსნის, ბურღულეულის) ღეროს ჭრიან ნაყოფიანურთ; 139. ქალაქი დასავლ. საქართველოში, იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხენა მხარეს; 141. გურიის უკანასკნელი მთავრის სახელი; 142. სოფ. ოჩამჩირის რ-ში, ზღვის ნაპირზე; 145. მასალა, რითაც ამზადებენ ჩვენში ყელყარყარა ყანწებს; 146. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქართული ხალხური ზღაპარი; 148. სოფ. ადიგენის რ-ში, არსიანის ქდ-ს აღმ.კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარჯ. მხარეს; 152. კვამლში გამოყვანილი თართის გვერდების ანაჭერი; 153. ძვ.საქართველოში გამოყენებული განიერლულიანი, მხარზე სატარებელი თოფის ერთ-ერთი სახეობა; 155. საუკეთესო საჭმელი სოკო მოწითალო-ნარინჯისფერი, დასავლ. საქ-ში წიფლნარში და მუხნარში იზრდება, ზაფხულსა და შემოდგ. დასაწყისში იხმარება მხოლოდ ახალი; 156. სოფ. ახალციხის რ-ში, მტკვრის ორივე ნაპირას, მდ.აბანოსღელის შესართავთან. ძვ.საქართ. კულტურის კერა; 157. უგემრიელესი ქართ. „ნამცხვარი", პურის ფქვილით და ყველით კეთდება; 159. უბანი თბილისის განაპირას. ამ ტერიტორიაზე უდიდესი ბრძოლა იქნა გადატანილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას; 160. სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც ეჭირა ოჯახის უფროსს, სადაც ლეკებმა ვაშლოვანიდან გატაცებული ქეთო მიიყვანეს; 161. ასე იხსენიებდნენ თავადებს საქ-ში მე-19 ს-ში; 164. ქართული პურის საცხობი; 165. დაბა ე.წ. სამხ. ოსეთის ავტ. ოლქში, დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას; 166. სოფ. ხობის რ-ში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხენა მხარეს; 168. ანა კალანდაძის პოეტური შთაგონება „ქართული...", ლექსში „შენ ისე ღრმა ხარ"; 170. ქართ. ხუროთმოძღვ. ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი კასპის რ-ში, სოფ. ჩაჩუბეთის მიდამოებში; 173. დ.გურამიშვილის პოემის მთავარი მოქმედი პირი. მწყემსის შერქმეული სახელი; 174. კლდეში ნაკვეთი ქალაქი ქ.გორის აღმ-ით 10 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირას; 178. სოფ. გალის რ-ში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხოჯის მარჯვენა ნაპირას; 179. მთა მთაწმინდის ქედის თხემზე; 181. ქართველი მოჭიდავე, რომელმაც საერთაშორისო წარმატება მოიპოვა უკანასკნელ წლებში; 182. სოფ. გულრიფშის რ-ში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს; 183. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის დამაკავშირებელი ქედი, რომელიც საქართველოს ყოფს აღმ. და დასავლეთ ნაწილებად; 184. ცენტრალური უბანი თბილისში; 185. მდ.ჩრდ. კავკასიაში. მისი სახელის მიხედვით ზედწოდება შეერქვათ ქართველ „სამოციანელებს"; 186. მდ. შიდა ქართლში, წარმოქმნილი მდ-ების შუა და დასავლ. ფრონის შეერთებით; 187. სამხედრო ფორმის პალტო; 189. დასავ.საქართველოს ერთ-ერთი ისტ. გეოგრაფიული მხარე; 191. ზედწოდება, რომელიც მონღოლებმა შეარქვეს ლაშა გიორგის ძეს დავითს; 192. საქ. სამხრეთის ძველი მხარის — ტაოს მკვიდრის სახელწოდება; 193. ეპიზოდური მოქმედი პირი ქალი ჭ.ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია"; 195. ყურძნის ბადაგისა და ფქვილისაგან დამზადებული ნუგბარი; 196. სოფ. ოჩამჩირის რ-ში, მდ. წაფსის ნაპირზე; 197. სოფ.ყვარლის რ-ში, კახეთის კავკასიის სამხ. კალთის ძირში, მდ. ჩელთის ნაპირზე; 198. მსხლის ქართული ჯიში, ჩვენში ფართოდ გავრცელებული; ტკბილი, წვნიანი, გარემოს ამტანი; 199. ძვ.ქართ.თამაში ვაჟთათვის. ვარაუდით, ამ თამაშში ასახულია სიმაგრეთა დაცვის სიმბოლიკა; 201. ქართული ხალხური გათვლის პირველი სიტყვა; 202. მდ. აღმ.საქართველოში, სათავე აქვს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მწვერვ. ბორბალოსთან; 204. ასე ეძახიან დასავლ. საქ-ში გოგრას; 205. უალკოჰოლო სასმელების ფუძემდებელი საქ-ში; 206. სოფ. ბოლნისის რ-ში, სულხან-საბა ორბელიანის სამკვიდრო; 207. სოფ.თეთრიწყაროს რ-ში, ქვემო ქართლის ვაკეზე; 208. პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, ქამარზე იკიდებენ; 209. ფუტკრისგან გაკეთებული ცვილის უჯრედები თაფლის დასაგროვებლად; 211. სახელი კლდეკარის ერისთავისა, რომლითაც დასრულდა ბაღვაშთა სახლის ისტორია; 212. ხილი, რომელიც ერთი პირველთაგანი შემოდის ჩვენში გაზაფხულზე; 213. საქართველოს ფულის ერთეული; 214. ილიას გამონათქვამით, ერთი უპირველესი პირობა ერის ძლიერებისა.

**შვეულად:** 2. სოფ. ბორჯომის რ-ში, ბორჯომის ხეობაში, მტკვრის მარცხენა მხარეს; 3. უძველესი სოფ. მცხეთის რ-ში, მუხრანის ვაკეზე, მდ.ნარეკვავის მარცხ. მხარეს; 4. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას; 6. სოფ. კასპის რ-ში, მდ. ლეხურას ნაპირზე; 8. გ.წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯი" მთავარი მოქმედი პირი ქალი; 10. ებრაელთა სალოცავი („სინაგოგას" სინონიმი); 12. სოფ. ქარელის რ-ში, შიდა ქართლის ვაკეზე ძვ. ქართ. კულტ.საგანმან. კერაა; 13. ასე იხსენიებდნენ ძვ. საქართველოში მაღალი თანამდებობის (წარჩინებულ) პირთა მხლებლებს; 15. ბარათი, მოკითხვის წიგნი ძვ. საქ-ში (ვეფხისტყაოსნის ლექსიკაშია); 17. ძვ.ქართ. საწესო ლექს-სიმღერა. დღეს მისი დანიშნულება ბავშვის დაძინებაა; 18. კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი; 24. უღელტეხილი ლიხის ქდ-ს სამხრეთ მონაკვეთზე; 25. სოფ. დმანისის რ-ში, გომარეთის პლატოზე, მდ. ახას მარცხენა ნაპირას; 26. სოფ. დუშეთის რ-ში, მდ. ხადის წყლის ხეობაში; 29. ქალაქი დას. საქ-ში, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას; 31. სოფ. დუშეთის რ-ში, მდ. ლიქოკისწყლის მარჯვენა მხარეს; 33. დაბა ჯავის რ-ში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდ. ჯეჯორის ხეობაში; 35. ტბა თბილისის მახლობლად; 36. სოფ. მესტიის რ-ში, მდ. ენგურის ხეობაში, ბახის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე. 37. ქართ. ხალხ. (კახური) სუფრული სიმღერა რთული მოდულაციური ცვლილებებით, მრავალხმიანობის კლასიკური ნიმუშია; 39. ღვთით მომადლებული უნარი, რითაც ქართველი ხალხი, როგორც ხშირად გამოთქმულია აზრი, დაჯილდოებულია; 41. ბუნების წიაღში დიდად და ღრმად ჩაღრმავებული ადგილი; 42. ქართ. ხალხ. შრომის სიმღერა ქართლსა და კახეთში. მიწის და მოსავლის წარმართული ღვთაების კულტს უკავშირდება; 44. მწვერვალი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით, ხოხის ქედზე, მდ. თერგისა და საქ. სამხედრო გზის მარცხ. მხარეს, ყაზბეგის რ-ში; 45. საყანედ გაკაფული ტყე, ნატყევარი; 47. კლიმატ-ბალნეოლოგიური კურორტი ეგრისის ქედზე. მარტვილის რ-ში; 50. მარჯ. სახ. თეატრში სახასიათო როლების შემსრულებელი მსახიობის, საზოგადოებრივად აქტიური ქალის სახელი; 52. ჩოხის მასრები მოვერცხლილი და ვერცხლის ძეწკვებით შემკული; 53. ტბა გურიის დაბლობზე. ე.ნინოშვილის შემოქმედებაშია მოხსენიებული; 56. ეშმაკობა, ხრიკი, თვალთმაქცობა, ფანდი. უფრო ძველად იხმარებოდა; 57. ჩვენი წიაღიდან გამომდინარე მსოფლიო მნიშვნელობის სამკურნალო მინერალური წყალი; 59. ვეფხვის ჯიშის მხეცი, ძვ. საქ-ში ათვინიერებდნენ ნადირზე დასაგეშად; 60. თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მოედნის ძველი სახელწოდება. ხშირად პრაქტიკულად დღესაც ამ სახელით იხსენიებენ; 62. კოლხეთის სამეფოს და მისი დედაქალაქის სახელწოდება ანტიკური ხანის ავტორების მიხედვით; 64. ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის სასმისი ჯამის ფორმისა; 65. სოფ. ხაშურის რ-ში, მდ.სურამულას ხეობაში; 67. ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე არაქართველი ეროვნების ცნობილი დირიჟორი; 68. მე-6 ს-ის ქართ. ხუროთმოძღვ. ძეგლი თბილისში. იგი დღესაც მოქმედი ეკლესიაა. ეს სახელი მე-17 ს-ში შეერქვა გარკვეულ გარემოებასთან დაკავშირებით; 71. სვანური გუნდური სიმღერა; 75. ქართული კერძი, რომელსაც უდიდესი მოწონება ხვდა წილად ამერიკაში ქართული კერძების დეგუსტაციის დროს; 77. სოფ. დმანისის რ-ში, გომარეთის პლატოზე; 84. ფერფლის სინონიმი. იხმარებოდა ძველად (გვხვდება რუსთაველის, გრიშაშვილის ლექსიკაში); 85. ჩვენი დროის ცნობილი ქართველი რეჟისორი; 90. ქალაქი დას. საქ-ში, მდ.-ებს ნოღელასა და აბაშას შორის; 92. სოფ. ზუგდიდის რ-ში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის მარცხენა მხარეს; 93. ურწმუნოების გრძნობა, რაც ყველა მოკვდავისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია; 95. თამარ მეფის დროინდელი კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რ-ში; 96. სახელი მე-19-20 ს-ების ქართველი მწერლისა. საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელია; 99. მდ.აფხაზეთის ტერიტორიაზე. სათავე აქვს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან; 100. სოფ. მცხეთის რ-ში, თრიალეთის ქდ-ს აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, მდ. დიღმისწყლის სათავეში; 102. სოფ. აჭარაში, ქედის რ-ში, მდ. აჭარისწყლის მარცხენა მხარეს; 103. სოფ. ხაშურის რ-ში, მდ. ჭერათხევის ნაპირზე. ისტორიულად სამეფო ქალაქი იყო; 104. მთა ყაზბეგის რ-ში, ხოხის ქდ-ს ჩრდილო კალთაზე. მდინარეების თერგისა და გნალდონის წყალგამყოფზე; 106. ცუდი, საძრახისი რამ; 107. სოფ. ბორჯომის რ-ში, მდ. ბორჯომულას მარჯვენა მხარეს; 108. სოფ. საგარეჯოს რ-ში, გომბორის ქდ-ს სამხრეთ დასავლეთ კალთაზე, მდ. ივრის მარცხენა მხარეს; 111. კლიმატურ-ბალნეოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტი ბაღდათის რაიონში, მესხეთის ქდ-ს ჩრდილო კალთაზე. მდ. წაბლარისწყლის ხეობაში; 112. ძვ. ქართ. ხალხური სანახაობა იმპროვიზაც. ნიღბების გამოყენებით. ადრეული საკულტო-რელიგ. მისტერიის ხასიათი მე-19 ს-თვის ყოფითმა სიუჟეტებმა შეცვალა; 113. ძვ.საქართველოში იხმარებოდა, განსაკუთრებით აღმ.საქ-ში ბატონის, დამქირავებლის მნიშვნელობით, მისმა არსებობამ ჩვენში ლიტ. ნაწარმოებშიც ჰპოვა გამოხატულება. იხ. დ.ჭონქაძის მოთხ. „სურამის ციხე"; 114. ახალი წლის ნუგბარი ნიგვზისა და თაფლისაგან დამზადებული; 116. სოფ. აჭარაში, ხულოს რ-ში, მდ. სხალთის ნაპირას; 118. ცივი იარაღი, რომელიც მუდამ ხელთ ეპყრა ბრძოლაში ჩვენს წინაპარს; 119. უღელტ. ბზიფის ქდ-ზე. მდ. დასავ. გუმისთის ხეობას აკავშირებს მდ. ბზიფის ხეობის ფსხუს ქვაბულთან; 121. რკინის იარაღისთვის (უმეტესად სას.სამ.) პირის მოსწორება; 122. ძვ. ქართ. ცხენოსნური სპორტული თამაშობა, განსაკ. დასავლ. საქ-ში; 125. ერეკლე მეორის კარის აშუღი პოეტი, თხზავდა სამ ენაზე; 128. ღრმა ტალახი, ძველად იხმარებოდა ეს სიტყვა; 129. ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი ქალი; 130. მრავალწლოვანი ბალახია საქ-ში, მეტად გავრცელებული. ყვითელი, წითელი ან ვარდისფერი ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედში აქვს მოთავსებული. იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით და ლიქიორარყის წარმოებაში; 132. გაზაფხულის მახარობელია. ამშვენებს ჩვენს მინდვრებს; 134. მეგრული კერძი – გადაზელილი ან ჭყინტი ყველი ღომთან ერთად ჩახარშული; 135. გრ. ორბელიანის მიერ ერთ-ერთ პოპულარულ მუხამბაზში მოხსენიებული პირი; 136. ქართ.ხუროთმოძღვ. ძეგლი, ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი, თბილისის სამხ. დასავლეთით, მდ. ვერეს მარჯვენა მხარეს მდებარეობს. ტყიან ხეობაში; 137. სოფ. აჭარაში, ხელვაჩაურის რ-ში, შავი ზღვისპირა დაბლობზე; 139. დღეს მთელს საქართველოში გავრცელებული, ტრადიციულად კი მთისთვის დამახასიათებელი კერძი – დაკეპილი ხორცი ცომში გახვეული და მოხარშული; 140. მხარე დასავლ. საქ-ში; 143. მთაში მიღებული წესით, დობილი (ვაჟისთვის) ან ძმობილი (ქალისთვის), ვისთანაც ქორწინება აკრძალული იყო; 144. ქართ. ხალხური სიმებიან-ჩამოსაკრავი საკრავი; 147. ღვინის გრძელყელიანი, მრგვალმუცლიანი სასმისი, სმის დროს რაკრაკებს; 149. ქართ. ხუროთმოძღვ. ძეგლი. დგას მთაზე მცხეთის პირდაპირ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს; 150. საწებელა, სხვა საკმაზთან ერთად, ბულგარული და დიდი ოდენობით ცხარე წითელი წიწაკით შეზავებული, ტრადიციულად აფხაზურ საწებლად ითვლება; 151. ურმის ტაბიკების გადასაბმელი თოკი; 154. თანხმობის გამომხატველი ნაწილაკი ქართულში; 158. ქართული ანბანის პირველი ბგერის სახელწოდება; 159. მდ. შიდა ქართლში, ერთვის მტკვარს ქვემო ხანდაკთან; 162. სოფ. ადიგენის რ-ში, ახალციხის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში; 163. შედღვებილი მაწვნისაგან კარაქის მოხდის შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე; 167. რელიგ. დღესასწ. იმართება მცხეთის კათედრ. ტაძარში საკულტო სვეტის და ქრისტეს კვართის სადიდებლად; 169. ქრისტ. სარწმუნოებისთვის წამებული ახალგაზრდა არაბი მე-8 საუკუნის ბოლოს ჩვენს მიწაზე; 171. მამაკაცის ძირითადი გარე სამოსი მე-20 საუკუნემდე საქ-ში; 172. სოფ. მესტიის რ-ში, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას, ჯვარ-მესტიის საავტ. გზაზე; 174. ისტორიული თემი ზემო სვანეთის უკიდურეს აღმოსავლეთში, ერთ-ერთი უმაღლესი დასახლებული ადგილია ევროპაში; 175. დღევანდელი საქ-ს სასულიერო წინამძღოლის სახელი; 176. ქართ. მართლმადიდ. ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო; 177. საქ. დღეს ახალგაზრდათა შორის მეტად გავრცელებული ქალის სახელი; 180. მნიშვ. ბალნეოლ. კურორტი დას. საქ-ში, მინერალურ წყლებს იყენებენ აბაზანებისთვის; 188. სოფ. ოზურგეთის რ-ში, მდ. სუფსის მარჯვენა მხარეს; 190. საქ. ძველი დედაქალაქი მტკვრისა და არაგვის შესაყართან; 191. ისტ. მხარე დასავლ. საქართველოში, ჭოროხის შუა დინების აუზში; 193. ძვ. ქართ. ვაშლის ჯიში, ლოყაწითელა; 194. გემრიელი კერძი, საქონლის ნაწლავში გახვეული გემოვნებით შეზავებული სატენით; 199. მლვიმე მდ. გუმისთის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ზემო ეშერის ტერიტორიაზე; 202. ალ.ყაზბეგის მოთხ. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი; 209. უძველესი ხალხური საწესო კალენდარული ლექს-სიმღერა; სააღდგომო რიტუალური დღესასწაულის დროს სრულდებოდა კარდაკარ ჩამოვლით.

**ლევან კუკუტარია**

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 3 ოთახნახევრიანი ბინა, გარემონტებული უმაღლეს დონეზე, ტელეფონით, მეტრო „სამასი არაგველების" გვერდით შავი ზღვის ქუჩის სამხედრო „გარადოკში", 9 სართულიანი სახლის (მოსკოვის პროექტი) მე-5 სართულზე. ფასი 35000$ ტელ. 74-12-63

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი 4 ოთახიანი ბინა (3+1) ჩარგლის 26 ბ. 21. ტელეფონით, რკინის კარებით, ორი საკუჭნაო. საწყისი ფასი 22000$ ტელ. 60-66-42 გია

იყიდება მთაწმინდაზე კაპიტალურად შესაკეთებელი 2 სართულიანი საკუთარი სახლი. ტელ. 95-75-06

იყიდება 1 ოთახიანი ბინა, უმაღლესი რემონტით. მეტრო „დელისთან". ფასი 15000$ ტელ. 30-37-99 მაია

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით. 8 სართულიანის მე-5 სართულზე. მუდმივი ბუნებრივი ცხელი წყლით. ვაჟა-ფშაველას I კვარტალი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-33-06 ლელა

ქალაქის ცენტრში იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა, სათავსოებით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-66-41

ვიყიდი ნებისმიერი პროექტის ბინას ნებისმიერ მდგომარეობაში, ნებისმიერ ადგილზე (ნაგულისხმევია თბილისი). 1000-1500 დოლარის ფარგლებში. ტელ. 96-69-75

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული ბინა, საერთო ფართი 220 კვ.მ, საბურთალოს ცენტრში. რემონტით, სარდაფით, მანქანის სადგომით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

ვიყიდი მეტრო „წერეთელთან" 2 ოთახიან ბინას. ტელ. 93-54-41

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება 2 ოთახიანი, არასტანდარტული გარემონტებული ბინა, საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 90 კვ.მ, ფასი 30000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება კაპიტალური კერძო სუფთა ბინა ტელეფონით, ხეხილიანი ბაღით, მანქანის სადგომით, სარდაფით. 100 კვ.მ ღია მანსარდით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-10-50

იყიდება ვერაზე 2 სართულიანი კერძო ბინა. საერთო ფართი 140 კვ.მ, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 35000 დოლარი. ტელ. 98-45-46

იყიდება 2,5 სუფთა ბინა. ტელეფონით, სარდაფით, რკინის კარებით. მეტრო „ღრმაღელესთან" ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-72-91 შოთა

იყიდება 1,5 არასტანდარტული ბინა წერეთელზე. კაპიტალურად გარემონტებული. ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით, ორი სარდაფით (5X5) ფასი 13500 დოლარი. ტელ. 34-14-13

იყიდება ან იცვლება 5 ოთახიანი ბინა საბურთალოდან ორ 2 ოთახიან ბინაზე საბურთალოზე. მის. იოსებიძის 51 (ბ) ბინა 27. ტელ. 38-76-15

იყიდება ორსართულიანი სახლი ეზოთი და ადგილი ბრწყინვალე ბუნებაში თბილისიდან 60 კმ სოფ. მანავში, ფასი 2500$ ან გაცვლა ერთოთახიან ბინაზე თბილისში. ტელ. 96-52-14 უშანგი (საღამოს საათებში)

იყიდება 2 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მიშენებული შესასვლელით ორთაჭალის ქ.№77, I სადარბაზო, V სართული, ბინა 14, გარაჟით, ტელეფონით. ფასი 16000$ ტელ. 72-07-13 ნატა

იყიდება 600 კვმ საგარაკე მიწის ნაკვეთი. აეჭალაში, პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე. ნაკვეთი პრივატიზებულია. ორსართულიანი სახლიც, ლოჯიით, სარდაფში მარნით, ფასი 18000 დოლარი. ტელ. 62-24-26 (21 სთ-ის შემდეგ)

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. კეთილმოწყობილი, საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

იყიდება ორსართულიანი საუკეთესოდ გარემონტებული კაპიტალური სახლი. 200 კვ.მ საცხოვრებელი ფართით და დამხმარე სათავსოებით. 400 კვ.მ კეთილმოწყობილი ხეხილიანი ეზოთი. მისამართი: ლოტკინი. ლაითურის ქუჩა. საკონტაქტო ტელეფონი: 23-51-52, ფასი შეთანხმებით.

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული სარემონტო ბინა 5X4, ოთახები 38+20+18 ლოჯიით, სარდაფით (ბინაში). საერთო ფართი 130 კვ.მ, მიშენებული აივნით. თამარაშვილის ქ.№10 ფასი 40000$ ტელ. 39-26-34

იყიდება ან იცვლება ორსართულიანი 220 კვ.მ ფართის სახლი, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთით, საიდანაც 2000 კვ.მ ტყე-პარკია, 1000 კვ.მ-ზე ხეხილის ბაღი. ეზოს წინა მხარე 120 მეტრზე შემოღობილია მეტალის ღობით, დანარჩენი მავთულ-ბადით. ამოყვანილია არტეზიული ჭა, 500 მეტრში ჩამოუდის მდინარე ოჩხამური. ადგილმდებარეობა ხელსაყრელია გლეხური მეურნეობის მოსაწყობად, საწყისი ფასი 12000 დოლარი ან იცვლება ქფოთში 3 ოთახიან ბინაზე ან თბილისის ნებისმიერ რაიონში მეტროსთან ახლოს 2 ოთახიან ბინაზე. მისამართი: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე (მონგირი – საკაციო) მიშიკო კაცია. თბილისში ტელ. 23-37-33 ნოდარი

იყიდება 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა წყნეთში პატარა სახლით (ყოფილი კამოს 3, ახლანდელი ფოროსმანის 3), ფასი 15000$ ტელ. 95-14-30; 61-11-39

იყიდება წყნეთში კიროვის ქუჩაზე 1 ოთახიანი (22 კვ.მ) იზოლირებული ბინა შემინული ლოჯიით (12 კვ.მ) სამზარეულოთი, აბაზანით ღია აივნით. II სართულზე. ფასი 1800 ლარი. ტელ. 22-43-28 თემური

იყიდება აგარაკი წყნეთში, ოთახნახევრიანი ბინა, 2 სართულიანი კოტეჯის II სართულზე, რკინის კარებით, სამზარეულოთი, ტუალეტით, ბინა სარემონტოა. ფასი შეთანხმებით. ტელ. 36-41-25 გულიკო

იყიდება სამსართულიანი მშენებარე სახლი საბურთალოზე იაშვილის ქ.№5 სახლის ფართობი 12X12-ზე, ეზო 500 კვ.მ ხეხილით, ნუცუბიძის ქუჩის პარალელური. ტელ. 99-94-31, ფასი შეთანხმებით

იყიდება იაფად 10 ოთახიანი ბინა 500 კვ.მ ფართით, მშენებარე, დამთავრების სტადიაში მყოფი ვაკეში, საცურაო აუზთან. მე-3 სართულზე. მაღალი ჭერით. 4 სველი წერტილით, 2 ავტოფარეხით პირველ სართულზე. ფასი 150000 ლარი. ტელ. 29-18-57

## სხვადასხვა

იყიდება 20 კილოვატიანი დიზელგენერატორი, ახალი, საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ. 35-38-79; 99-83-32

იყიდება საყოფაცხოვრებო 220 ვოლტზე მომუშავე კომპრესორი. ფასი 150 ლარი. ტელ. 96-10-50

სასწრაფოდ შევისყიდი გერმანული ან ჩეხური წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება ღვინის და არყის ბოთლების ჩაჩები. ტელ. 38-76-15

იყიდება პიანინო „გრუზია", ყავისფერი. გერმანული კლავიშებით. ფასი 300 დოლარი. ტელ. 73-02-74

იყიდება შიფერის ფორმის ალუმინის სახურავი – ზომით 70X70-ზე. 500 ერთეულის რაოდენობით. თუნუქი შავი – 100 ერთეული, ზომით 70X140. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-19-69

იყიდება ყიფშიძის №12-ში კაპიტალური ავტოსადგომი. ფასი 4000 დოლარი. ტელ. 22-77-44

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია, რომლის ფართი 200 კვ.მ-ია, აქვს საწყობი – 250 კვ.მ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

იყიდება რუმინული სამზარეულო, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი" – ეკრანი 72 სმ დიაგონალი. იაპონური ვიდეომაგნიტოფონი – „პანასონიკი". ტელევიზორი – „იუნოსტი 406 დმ" შავ-თეთრი. კონდენციონერი BK-1500. მექანიკური საბეჭდი მანქანა „ლისტვიცა" ქართული შრიფტით. ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი", წყლის გამაცხელებელი ავტმორი, ტრანზისტორი „ოკეანე". ტელ. 72-26-31

იყიდება ძალიან იაფად ახალი მუქი კრემისფერი „კარაკულის" ქურქი, ტამის ზეწრის საყელოთი, ტელ. 34-14-13

იყიდება მე-19 საუკუნის ანტიკვარული სასადილო (დივანი, მრგვალი მაგიდა და 4 სკამი). ფასი შეთანხმებით. ტელ. 93-49-77

იყიდება ორი ახალი არაბული სავარძელი. ფასი 400$ ტელ. 95-14-30; 61-11-39

შევიძენ „Panasonic "-ის ფირმის ფაქსის აპარატს. დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 22-19-65 ყოველდღე 10-დან 20 საათამდე

## ავტომანქანა

გვაქვს „რაფი", რომელიც თავისუფალია ყოველ მე-3 დღეს. მსურს მისი გამოყენება სხვადასხვა საქმიანობისათვის. მოსაზრებები მოგვაწოდეთ ტელეფონით 95-18-28

. იყიდება „ტოიოტა-სპრინტერი" გამოშვებული 1961 წელს საჭე მარჯვნივ (ძრავა შესაკეთებელია) ფასი 250$ ტელ. 39-26-34 ვახო

## ვასწავლი

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით ტელ. 64-76-77 მაიკო

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე). გვაქვს ავტონომიური დენის წყარო. მობრძანდით, მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ. ოთახი 207 ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ ყოველდღე:
93-18-41

# ჰოროსკოპი
## 24-28 მაისი

**ვერძი** – თქვენთვის აქტიური პერიოდი დადგა. ყველაფერში გაგიმართლებთ, სამსახურში წინსვლა გელით, შემოქმედებითი მიღწევებიც სიხარულს მოგიტანთ.

**კურო** – სიყვარული საქმეს ვერ მოგწყვეტავთ. ელოდეთ სასარგებლო გარიგებებს, არჩევანი თქვენზეა.

**ტყუპები** – ავადმყოფობის და აგრესიულობის პერიოდი დამთავრდა, სიყვარული და სიხარული კი წინაა.

**კიბო** – ძალიან ბევრს მუშაობთ და თათბირობთ, რეზულტატი მინიმალურია, ხოლო ჯანმრთელობა შერყეული.

**ლომი** – დასვენება, ქეიფი და სასიამოვნო საზოგადოებაში ტრიალი გაუთვალისწინებელ წარმატებას მოგიტანთ, ოღონდ არ გადაამლაშოთ.

**ქალწული** – თითქოს გულის რჩეული საპასუხო გრძნობას გიბრუნებდათ, მაგრამ თქვენმა აგრესიულობამ დააფრთხო. ამ დღეებში ჯობს ნუ დაიწყებთ ურთიერთობების გარკვევას. დარჩით საკუთარ თავთან, მიხედეთ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით თქვენს ნერვულ სისტემას.

**სასწორი** – შენაძენი, მოგზაურობა, წარმატება წარსული მარტოობის სანაცვლოდ მართლაც უფლის საჩუქარია.

**მორიელი** – თქვენი მოლაპარაკებები წარმატებას მოგიტანთ.

**მშვილდოსანი** – ბედნიერი და წარმატებული დღეები გელით.

**თხის რქა** – მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, არ გადადოთ საქმიანი საუბრები.

**მერწყული** – მხიარულ საზოგადოებაში ყოფნა თქვენზეც კარგად იმოქმედებს და თქვენს საქმიანობაზედაც.

**თევზები** – გაუთავებელი თათბირები და საქმიანი მოლაპარაკებები ძალიან დაგღლით, ამიტომ განმარტოვდით და მიხედეთ ჯანმრთელობას.

# ლატარეა ყველასათვის

## 23 მაისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი - 120509;
1000 ლარი - 409650;
900 ლარი - 282369;
800 ლარი - 400051;
700 ლარი - 199021;
600 ლარი - 517092;
500 ლარი - 176507;
400 ლარი - 242484;
300 ლარი - 537747;
200 ლარი - 360618;
100 ლარი - 335307;
100 ლარი - 556274;
100 ლარი - 444309;
100 ლარი - 444381;
100 ლარი - 102765;
90 ლარი - *42051;
80 ლარი - *62434;
70 ლარი - *15458;
60 ლარი - *56823;
50 ლარი - *33505;
40 ლარი - *28967;
30 ლარი - *55183;
25 ლარი - **4125;
20 ლარი - **8686;
10 ლარი - ***789;
10 ლარი - ***327;
5 ლარი - ***458;
5 ლარი - ***543.
2 ბილეთი - ****03
1 ბილეთი - *****5
1 ბილეთი - *****9

100 ლარიანი ბილეთი №571658
100 ლარიანი ბილეთი №597727

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მოცე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან - 14 სთ-მდე - 25 ლარი 50 ლარი - შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XX ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6707: 1850:** გათამაშებაზე შეუძლიათ 30 მაისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **იტალიური ფიატი** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№159261.** ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა **№377785**

## ქლინთონი კმაყოფილია

„ამერიკის შეერთებული შტატები აღფრთოვანებულია ნატოსა და რუსეთის პარტნიორობის შესახებ მიღებული შეთანხმებით“ - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა ნატოს გენერალურ მდივანთან ჰავიერ სოლანასთან შეხვედრის წინ. ეს შეთანხმება სავსებით შეესაბამება ნატოს გაფართოების გეგმებს და იმ ამოცანებს, რომლებიც ნატომ უნდა შეასრულოს, - აღნიშნა მან.

## დაფიქსირებულია სროლები

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სომხეთის მიმდებარე საზღვრებიდან დაფიქსირებულია ინტენსიური სროლები. როგორც აზერბაიჯანის მხარე იტყობინება, მათი პოზიციები ფიზულის რაიონში დაიცხრილა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევითა და ყუმბარმტყორცნებით. სროლა მხოლოდ აზერბაიჯანში საპასუხო სროლის შემდეგ შეწყდა.

# გაკურნავდი პირამიდა

დიდი საოცრება - ასე შეიძლება ეწოდოს ქართველი მეცნიერის და გამომგონებლის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ენერგოინფორმატიკული ცენტრის სექტორის ხელმძღვანელის ბატონ თამაზ ნანიტაშვილის მიერ შექმნილ უნიკალურ სამედიცინო მოწყობილობას, კოსმიური ენერგიის მიმღებ მკურნალ-პირამიდა-რეზონატორს, რომელსაც თავისი მოქმედების შინაარსით ანალოგიური არ მოეპოვება მსოფლიოში და რომელიც ადამიანის ორგანიზმის ბიოენერგოინფორმაციული არხების გაწმენდის უნიკალური საშუალებაა.

ადამიანი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მოიხმარს ენერგიას გარემოდან, რომელშიც ის ცხოვრობს, სადაც სუნთქავს, სვამს და იკვებება.

სპეციალისტები თვლიან, რომ ენერგია, რომელსაც იძლევა ჰაერი, წყალი და საკვები შეადგენს საჭირო ენერგიის დაახლოებით ერთ მეოთხედს. ლომის წილი ადამიანის ენერგეტიკულ ბალანსში მოუძღვის კოსმიურ ენერგიას. ამ ენერგიის რაოდენობაზეა დამოკიდებული ადამიანის მთელი ორგანიზმის ნორმალური მუშაობა, მაგრამ, თუ რაიმე ხელს უშლის ადამიანის ორგანიზმში კოსმიური ენერგიის მიღებას, მაშინ იწყება მის ორგანოებში სხვადასხვაგვარი დარღვევები, რადგანაც კოსმიური ენერგიის რაოდენობაზეა დამოკიდებული ადამიანის ენერგეტიკული პოტენციალი. როგორც დღევანდელი მეცნიერებისთვის ცნობილია,ადამიანის ორგანიზმი არის თვითმარეგულირებელი სისტემა, რომელშიც ცხოვრებისეული კოსმიური ენერგია ჰარმონიულად ცირკულირებს ყველა ორგანოსა და სისტემაში, რომლის მიღება და მოძრაობა ხდება უხილავ და განუსაზღვრელ ბიოენერგოინფორმაციულ არხებში, რომლის რაოდენობა ორგანიზმში 8 მილიონს აღწევს. აღნიშნული არხების მეშვეობით ხორციელდება ორგანოების ბიოენერგოინფორმაციული კავშირი გარე სამყაროსთან და ერთმანეთთან.

აღნიშნული ბიოენერგოინფორმაციული კავშირი სრულად რომ განხორციელდეს, საჭიროა ნორმალური გარემო პირობები, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის გარემოს ეკოლოგიას.

ეკოლოგია საუკუნის პრობლემა გახდა. ატმოსფეროში ოზონის შემცირებამ გამოიწვია მავნე ულტრაიისფერი გამოსხივების დონის გაზრდა. მკვეთრად გაიზარდა ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა ჰაერში, საკვებ პროდუქტებში.გარემოს ეკოლოგიას ემატება ორგანიზმის შინაგანი ორგანოების, ცხოვრების წესის, ქცევის ეკოლოგიის მოშლაც. ეს ფაქტორები იწვევენ ადამიანის ორგანიზმის ბიოენერგოინფორმაციული არხების დაბინძურებას, რაც კოსმიური ენერგიის არასაკმაო რაოდენობით მიღებას იწვევს.

ყველა დაავადების სათავე ბიოენერგოინფორმაციული არხების დაბინძურებაში უნდა ვეძებოთ და მკურნალობა ამ არხის მოწესრიგებით დავიწყოთ.

კოსმიური ენერგიის მიმღები და მისი ბიოენერგოინფორმაციულ სიგნალებად გარდამქმნელი მკურნალი - პირამიდა-რეზონატორი, რომელიც თანამედროვე ინფორმაციული მედიცინის უკანასკნელი მიღწევების ბრწყინვალე შედევრია, ქართული საინჟინრო აზროვნების უდიდესი მიღწევაა, რომელიც ასტიმულირებს და აწყნარებს ნერვულ სისტემას, აძლიერებს არტერიულ სისხლმომარაგებას, არეგულირებს ქსოვილთა კვებას, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას, ამცირებს ნერვულ და კუნთოვან დაძაბულობას, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის ყველა უჯრედში ფსიქოემოციური ბიოენერგიის თავისუფალ მოძრაობას, დადებით ფიზიოლოგიურ ძვრებს, სტრესისა და პათოლოგიური კერის ორგანიზმიდან „გამოძევებას“ და ჰარმონიული ბიოენერგეტიკული და ფსიქოემოციური წონასწორობის აღდგენას.

**ეკა ფარსადანიშვილი**

## ისტორიული მოვლენა

ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა კიევში. უკრაინასა და პოლონეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორი ქვეყნის შერიგების შესახებ და ამ დოკუმენტით ფაქტობრივად წერტილი დაუსვეს ისტორიის შავბნელ ფურცლებს. მათ რიგს განეკუთვნება 50 წლის წინ პოლონეთში მცხოვრები 150 ათასი უკრაინელის დეპორტაცია, რომელიც ოპერაცია „ვისლას“ სახელწოდებით არის ცნობილი.

## დააპატიმრეს ოპოზიციური პარტიის ლიდერი

ბირმის სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებით ისინი იძულებულნი იყვნენ დაეპატიმრებინათ ოპოზიციური პარტიის ლიდერი. მათი თქმით, იგი დამატებით პრობლემებს უქმნიდა ბირმის ხელისუფლებას. ამ დაპატიმრებას ბირმის დემოკრატიის ლიგის 60 წევრის დაკავება მოჰყვა. საერთაშორისო თანამეგობრობამ პროტესტი გამოთქვა ამ ფაქტის გამო.

## დიალოგს გააგრძელებენ

ნიკარაგუის ხელისუფლებმა მოახერხეს ნაწილობრივ დაეცხროთ დაძაბულობა, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, რაც ეროვნული განთავისუფლების ოპოზიციური სანდინისტური ფრონტი დაემუქრა მათ საპროტესტო მასობრივი მანიფესტაციების მოწყობით. ნიკარაგუის პრეზიდენტი არნოლდი ალემანი და ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ლიდერი დანიელ ორტეგა შეთანხმდნენ, რომ კიდევ ერთი კვირით გააგრძელონ დიალოგი, ქვეყნის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად.

# კაიფვორდი



**მიყრდნობილად:** 1. „ანის ბაზაში გასასროლი ზარი“; 2. „ცერდაცობილი“ მწვანილი; 3. „ლიას გამოყუჩებული“, საჭმელი ხილი; 4. „ბოროტი სულების გაციებული“ პარადი (რუსკავშ.); 5. „დის მავთულიანი“ ნამუსი; 6. „ნიკას დაკარგული“ სახელმწიფო აშშ-ში; 7. „ონში დასახური კაპიკად ღირებული“ საწვიმარი; 12. საერთო დომინოს კენჭსა და ინსპექტორს შორის; 17. „თხის ბღავილზე ღელეში“ აშენებული ნალია; 20. „ჩვენი ერის ტორიანი“ სანათი მოწყობილობა; 22. „მშიშარა“ ხილი (რუსკავშ.); 24. „კაცის სახელობის“ მონა, რომელმაც ერთ დროს ჭეყანა დაიმონა; 26. ამ ქალაქს ერთ ასოს თუ მივუწერთ წინ, დიდი გენერლის სახელს მივიღებთ; 27. „მეორე მუსიკალურ ნოტზე დამსიგნალებელი“ ცეკვა; 29. „ალას ცეცხლმოკიდებული“ დაუმადლებელი; 31. „მომხრე“ ქალის სახელი (რუსკავშ.); 33. „ეს“ ნამდვილად ბერძნული ანბანის მეხუთე ასოა (რუსკავშ.).

**მიწოლილად:** 8. „ჩვენი ერის რევოლუციის“ დროინდელი პისტოლეტი; 9. „მოქიშპე“ საკომისიო მაღაზია თბილისში; 10. „ტელეფონში ჩასაძახებელი“ სარი; 11. „ქარში“ საჭმელი ტკბილეული; 13. ნამგალის „ბრატი“; 14. „მოსისინე“ ყელის ნაწილი; 15. „ორი ერთი და იმავე მუსიკალური ნოტისგან შემდგარი“ ბავშვების საჭმელი; 16. „განზე“ იარაღის მსროლელი ბანდიტი; 18. „რე-ს გაქცეული“ აღგზნება; 19. „შენი მულის“ მიერ მიცემული ბიძგი (ნაწ.რუსკავშ.); 21. ის, რაც „ვირის გაგდების მიზნით გამოწვეულ წამოძახილზე“ უნდა გაიკეთო, დიფტერიის საწინააღმდეგოდ; 23. „ვალში გადავარდნილი“ ტყე; 25. „ტატას უბრალო“ წინამდებარე ჭირკვალი (რუსკავშ.); 28. მთები აზიაში, რომელიც „ცოტაა“ (რუსკავშ.); 30. „ელეს მეორე მუსიკალურ ნოტზე“ ჩართული ავტომატური ხელსაწყო; 32. „შენ“ თვითონა ხარ ეს „ორთქლიანი“ მუქთახორა (რუსკავშ.); 34. ის, რაც ამეთვისტოს უნდა მიეცა მეხუთე მუსიკალურ ნოტზე დაკვრით (კინოფ.); 35. „ზვირთი“, რომელიც საერთო აქვთ რადიოს სიხშირეს და ზღვას; 36. გაზზე არ ვგულისხმობ, უბრალოდ– მონასტერი.

კობა ბაიდოშვილი

## წინა ნომრის ლადავვორდის პასუხები

თარაზულად: 2. ამური; 8. ველი; 9. სოდომი; 10. აპენდიქსი; 12. რობინზონი; 13. რიშარი; 16. მაღარო; 19. ნალექი; 21. მარილი; 22. დაისი; 23. ამფსონი; 25. ტახტი; 27. ექსპორტი; 30. ბალი; 31. ბირჟა; 32. ოსკარი; 33. რიდი; 34. ბარიგა.

შვეულად: 1. შუქნიშანი; 3. მელოტი; 48 ლილი; 5. ლომი; 6. ხიო; 7. იქსი; 9. სეზამი; 11. ციცარი; 13. რალი; 15. ზორო; 17. ღამურა; 18. ბანაკი; 20. კიდობანი; 24. ოქრო; 26. ისარი; 28. რინგი; 29. მადა.

## წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

მიწოლილად: 4. ენაკვიმატი; 8. ლაიკა; 9. პლაცკარტი; 11. ანტონა; 12. ქალი; 13. ლიახვი; 14. კონსტანტა; 17. ფაზა; 18. რეზონანსი; 20. პუტჩი; 22. ნახირი; 23. ოპტიკა; 25. ლაურა; 27. ბარბაროსი; 28. სურდო; 31. მალვა; 33. ოლქი; 34. ნეზვი; 35. გაგუდული.

მიყრდნობილად: 1. ფისტონი; 2. გარნიტური; 3. გალაქტიონი; 5. ნიკელი; 6. კურკა; 7. ტოტალიზატორი; 10. თინა; 14. კომპრომისი; 15. საინი; 16. მსახიობი; 19. ტრილიონი; 21. ტეტჩერი; 24. კიდობანი; 26. ჭუჭყუნი; 29. ჩაი; 30. ბაქო; 32. ძაუ.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444